ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 9 ნოემბერი, 2016

№266 (7191)

ფასი: 50 თეთრი

## მოზარდები რიტუალის შესასრულებლად წყნეთის სასაფლაოზე იკრიბებიან



გვ.4

8 ნოემბრიდან

მსოფლიო ლიტერატურის

კლასიკოსები

დევიდ ლოურენსი

ლედი ჩეთერლის საყვარელი



ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

# „ოცნებაში", შესაძლოა, განხეთქილება მოხდეს



გვ.2

## ხელისუფლება მანანა კობახიძის დაყოლიებას ვერ ახერხებს



გავრცელებული ინფორმაციით, ამ პოსტზე ლევან კობიაშვილი, მიხეილ ყაველაშვილი და ლერი ხაბელოვი განიხილებიან. როგორც „ოცნების" კულუარებში ამბობენ, კობიაშვილს კახა კალაძე ლობირებს. კობიაშვილის მოწინააღმდეგენი ამბობენ, რომ ეს ახალბედა დეპუტატი მაჟორიტარობას, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობასა და კომიტეტის თავმჯდომარეობას ერთდროულად ვერ შეძლებს.

## მერიამ 9 თვეში 545 ტონა საწვავი დახარჯა

გვ.2

რატომ გაიზარდა საწვავის მოხმარება არჩევნების წინ



## „სააკაშვილს მალე დაიჭერენ"



რა ფინანსური დარღვევები აღმოუჩინეს ექსპრეზიდენტს უკრაინაში

გვ. 3



ISSN 1987-9385



გვ.5

## საქართველოში ავტომობილების ტექდათვალიერება ბრუნდება



ჰაერის დაბინძურება და ავტოავარიები ავტომობილების ტექნიკურ გაუმართაობასთან პირდაპირ კავშირშია

## პაატა ჯიბლაძე: „ქართულმა ოცნებამ" სხვებთანაც უნდა ითანამშრომლოს"

„ქართული ოცნებისადმი" მხარდაჭერა სააკაშვილის მიმართ შიშით აიხსნება"

გვ.2



# მერიამ 9 თვეში 545 ტონა საწვავი დახარჯა

## რატომ გაიზარდა საწვავის მოხმარება არჩევნების წინ

შორენა მარსაგიშვილი

**დედაქალაქის მერიას 2016 წლის ბიუჯეტში ცვლილებები შეაქვს. რა გახდა ამის მიზეზი, რა რაოდენობით საწვავი დახარჯა მერიამ არჩევნების წინ, რამდენი ათასით გაიზარდა სოციალურად დაუცველთა რაოდენობა? – ამ თემებზე „ახალ თაობას" „ახალი საქართველოს" წევრი მარიამ ქელბაქიანი ესაუბრება.**

**მარიამ ქელბაქიანი:**

– დედაქალაქის მერიამ 2016 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა მოითხოვა. ბიუჯეტის კორექტირება იმიტომ გახდა საჭირო, რომ ნარმანიას უწყებამ არჩევნების წინ დიდი რაოდენობით თანხები აითვისა. ჩვენ გამოვითხოვეთ დოკუმენტაცია და ძალიან საინტერესო სურათი მივიღეთ. კერძოდ, დედაქალაქის მერიამ 9 თვეში მოიხმარა 545.518 ლიტრი საწვავი, რაშიც ბიუჯეტმა 745.993 ლარი გადაიხადა. თავისთავად შთამბეჭდავი ციფრია, რომ 9 თვეში 545 ტონა საწვავი დახარჯეს, მაგრამ უფრო საინტერესო სურათს მივიღებთ, თუ ვნახავთ, კვარტლების მიხედვით როგორ იხარჯებოდა საწვავი.

საწვავის ყველაზე მეტი წვა მერიას აქვს არჩევნების წინა პერიოდში – მესამე კვარტალში. ყოველთვიურად დედაქალაქის მერია საშუალოდ მოიხმარს 58 ტონა ბენზინს. მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან კარგად ჩანს, რომ როგორც კი საპარლამენტო არჩევნების თარიღი გამოცხადდა, მერიამ საწვავის მოხმარება გაზარდა, მესამე კვარტალში 21 ტონით მეტი საწვავი დაიხარჯა. ამ პერიოდში თვეში საშუალოდ 65 ტონას ხარჯავდნენ.

ჩვენ გამოვითხოვეთ ყველა ის ავტომობილი, რომლებიც მერიის ბალანსზეა. მერიის ბალანსზე სულ 264 ავტომობილია. აქედან ნაწილი ოპერატიული დანიშნულებისაა, ნაწილი კონკრეტულ ჩინოვნიკებს ემსახურება. ოპერატიული მანქანებით თანამშრომლები გადაადგილდებიან და, როგორც წესი, ასეთი მანქანები უფრო მეტ საწვავს მოიხმარენ. არჩევნების წინა პერიოდის სტატისტიკას თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ თანამდებობის პირები უფრო მეტ ბენზინს ხარჯავენ.

მაგალითისთვის გეტყვით, რომ დედაქალაქის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი ყოველთვიურად ნახევარ ტონა საწვავს ხარჯავს. მას არ ჩამოუვარდება უსაფრთხოების სამსახურის უფროსი. ვაკის გამგებელი საერთოდ ჩემპიონია.

***– ის რამდენს მოიხმარს?***

– 600 ლიტრ საწვავს მოიხმარს.

***– საწვავის ხარჯვის ლიმიტი არ არსებობს?***

– როგორ არ არსებობს. ლიმიტი თვეში არის 600 ლიტრი საწვავი. ვაკის გამგებელი ყოველთვიურად 599 ლიტრს მოიხმარს და სახელმწიფოს ერთ ლიტრს უტოვებს.

მართლა ვერ ვხვდები, რატომ უნდა ხარჯავდეს უსაფრთხოების სამსახურის უფროსი ნახევარ ტონა საწვავს თვეში. ის გამგებელი არ არის, რომ აქეთ-იქით იაროს. ამ ხარჯებით, წესით, საკრებულოს სარევიზიო კომისია უნდა დაინტერესდეს, მაგრამ მათ ეს ამბავი არ აინტერესებთ. საწვავის ხარჯვის საქმე აუდიტის სამსახურმაც უნდა შეისწავლოს.

მეეჭვება, მათ ეს საქმე შეისწავლონ, ჩვენ კი საფუძვლიანი ეჭვი გვაქვს, რომ ეს ყველაფერი არჩევნებზე ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებაზე მიუთითებს. ამის დამამტკიცებელი კიდევ სხვა ფაქტებიც არსებობს.

***– რა ფაქტები?***

– რა და არჩევნების წინა პერიოდში მერიიდან და თბილისის გამგეობებიდან 308 ადამიანი გავიდა ფასიან შვებულებაში. საკრებულოს დამოუკიდებელმა დეპუტატმა ალეკო ელისაშვილმა გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ გამგეობის თანამშრომლები „ოცნების" მაჟორიტარობის კანდიდატებს ეხმარებოდნენ. „ოცნების" მაჟორიტარების ფეისბუქის გვერდებზე თუ შევალთ, ვნახავთ, რა აქტიურად მონაწილეობენ მათ საარჩევნო კამპანიებში გამგებლები, მუნიციპალიტეტების უფროსები.

***– შვებულებების ამბავმა რატომ დაგაეჭვათ?***

– იმიტომ, რომ ამ 308 ადამიანს შვებულება 7 ოქტომბერს უმთავრდება. ნათელია, მათ ეს შვებულება იმისთვის მისცეს, რომ საარჩევნო კამპანიაში მიეღოთ მონაწილეობა.

***– შვებულებაში მყოფებს ხომ შეუძლიათ თქვან, რომ სწორედ ამ დროს მოუნდათ დასვენება?***

– შეუძლიათ თქვან და ვერც ვერავინ მოედავება მათ. იურიდიულად ყველაფერი გამართულია. უბრალოდ, არ დაგვავიწყდეს, რომ ეს ადამიანები იმყოფებოდნენ ფასიან შვებულებაში, ბიუჯეტიდან იღებდნენ თანხებს და ეხმარებოდნენ „ოცნებას". ეს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაა. თავის დროზე სწორედ ამას ედავებოდნენ გიგი უგულავასა და ნაციონალურ მოძრაობას. ახლა ამ მეთოდს კიდევ უფრო კარგად იყენებს „ქართული ოცნება".

მაგალითისთვის გეტყვით, რომ მარტო საბურთალოს გამგეობაში წინასაარჩევნო პერიოდში 90-მა ადამიანმა ისარგებლა ფასიანი შვებულებით. აქედან 15-მა ადამიანმა 3 ოქტომბერს გაილვიძა და გადაწყვიტა, 7 ოქტომბრამდე გასულიყო შვებულებაში. ესენი არიან აპარატის უფროსი, გამგებლის მოადგილეები, წამყვანი სპეციალისტები, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები. 3-დან 7 ოქტომბრის ჩათვლით საბურთალოს გამგეობაში მარტო დარაჯი იყო დარჩენილი. ანალოგიური სიტუაცია იყო სხვა გამგეობებშიც.



ჩვენ უახლოეს მომავალში წარმოვადგენთ დასკვნას, თუ როგორ გასცა მერიამ ერთჯერადი სოციალური დახმარებები. ახლა მხოლოდ ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ პირველ და მეორე კვარტალში სოციალური დახმარებების 30% გაიცა, მესამე კვარტალში კი – დარჩენილი 70%. წელი ჯერ არ დასრულებულა და დარჩენილ 2 თვეში კიდევ დასჭირდებათ ადამიანებს დახმარება. ამიტომაც გადაწყვიტეს ბიუჯეტში კორექტივების შეტანა.

ასევე საინტერესოა ის ფაქტიც, რომ არჩევნების წინა პერიოდში 160.000-ით გაიზარდა სოციალურად დაუცველთა რაოდენობა. ამ სტატუსის მიღება ძალიან ჭირს, მაგრამ არჩევნების წინ მარტივად მოხდა.

# „ოცნებაში", შესაძლოა, განხეთქილება მოხდეს

## ხელისუფლება მანანა კობახიძის დაყოლიებას ვერ ახერხებს

შორენა მარსაგიშვილი

ბევრი წვალებისა და ინტრიგის მიუხედავად, „ქართულმა ოცნებამ" საპარლამენტო თანამდებობები ვერ გადაინაწილა. ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე წარდგენილი კანდიდატი პოსტის დაკავებაზე უარს ამბობს, სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე კი 3 კანდიდატია წარდგენილი.

გავრცელებული ინფორმაციით, ამ პოსტზე ლევან კობიაშვილი, მიხეილ ყაველაშვილი და ლერი ხაბელოვი განიხილებიან. როგორც „ოცნების" კულუარებში ამბობენ, კობიაშვილს კახა კალაძე ლობირებს.

კობიაშვილის მოწინააღმდეგენი ამბობენ, რომ ეს ახალბედა დეპუტატი მაჟორიტარობას, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობასა და კომიტეტის თავმჯდომარეობას ერთდროულად ვერ შეძლებს.

კობიაშვილის მოწინააღმდეგეები არგუმენტებს საფეხბურთო ნაკრების წარუმატებლობით ამყარებენ და ამბობენ, მაგას ფეხბურთისთვის ვერ მოუვლია და მთელ სპორტს როგორ მომწყემსავსო.

მიხეილ ყაველაშვილიც კალაძის კადრად მოიაზრება, მაგრამ მასზე თავს დიდად ვერ დებენ. გასულ წელს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე კენჭი იმიტომ არ აყრევინეს, რომ უმაღლესი განათლება არ ჰქონდა. ახლაც, შესაძლოა, ეს გახდეს მიზეზი.

მესამე კანდიდატურა, ლერი ხაბელოვი, ბიძინა ივანიშვილთან დაახლოებულ პირად ითვლება. 2012-2016 წლების მოწვევის პარლამენტში ის ამ კომიტეტს ედგა სათავეში. გაგიკვირდებათ და ეს კომიტეტი ყველაზე აქტიური იყო, თანაც, იმდენად აქტიური, რომ ყველას დამწუნებელ ლევან ბერძენიშვილის ქებაც კი დაიმსახურა.



როგორც „ქართული ოცნების" ერთ-ერთი ლიდერი გია ვოლსკი ამბობს, სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის ვინაობა ამ დღეებში გაირკვევა.

ვოლსკი ვარაუდობს, რომ ამ დღეებშივე გაირკვევა ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის ვინაობაც. ეს პოსტი მანანა კობახიძეს შესთავაზეს, მაგრამ მან უარი თქვა. როგორც ამბობენ, მას ვიცესპიკერობა სურდა და „ჩამოლაბორანტებას" განიცდის.

ვოლსკი, სხვა დეპუტატების მსგავსად, არ ადასტურებს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ კობახიძე ნაწყენია. თავად ვოლსკის მჭმუნვარედ ყოფნის არანაირი მიზეზი არა აქვს. მომავალ პარლამენტში მან ორ თანამდებობას გამოჰკრა ხელი – ვიცესპიკერობასა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეობას.

# ნაციონალები მიშისტებად და გიგისტებად დაიყოფიან



„ქართული ოცნების" დეპუტატი ზვიად ძიძიგური ვარაუდობს, რომ ნაციონალური მოძრაობა ორი მიმართულებით გაიყოფა. ერთი ნაწილი დარჩება მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერად, ხოლო მეორე ნაწილი იქნება გიგა ბოკერიას მხარდამჭერი.

– ნაციონალური მოძრაობა შეიძლება დაიყოს ორი მიმართულებით – „მიშისტებად" და „გიგისტებად", ანუ გიგა ბოკერიას მხარდამჭერებად და ეს ყველაფერი გამოიხატება მათ დამოკიდებულებაში მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებთან თუ ოპონირებასთან დაკავშირებით, – განაცხადა ზვიად ძიძიგურმა.

**პირველი რადიო**

# კვირიკაშვილმა დეპუტატის მანდატი სადეპუტატო უფლებამოსილების ცნობისთანავე უნდა დატოვოს

საიას იურისტ გიორგი გოცირიძის შეფასებით, მნიშვნელოვანია, გიორგი კვირიკაშვილმა ახალარჩეული პარლამენტის მხოლოდ უფლებამოსილების ცნობის პროცედურაში მიიღოს მონაწილეობა და, იმავდროულად, პარლამენტს სადეპუტატო უფლებამოსილების შეწყვეტის თხოვნით მიმართოს.

ამასთან, როგორც გოცირიძემ ინტერპრესნიუსს განუცხადა, მნიშვნელოვანია, როცა პრეზიდენტი გამოსცემს აქტს ახალი მთავრობის ფორმირებამდე ძველი მთავრობისათვის მოვალეობის შესრულების დაკისრების შესახებ, აღნიშნული აქტის გამოცემის მომენტისთვის გიორგი კვირიკაშვილი პარლამენტის საქმიანობაში აღარ მონაწილეობდეს და მას უკვე მიმართული ჰქონდეს პარლამენტისთვის სადეპუტატო უფლებამოსილების შეწყვეტასთან დაკავშირებით.

გოცირიძის აზრით, წინააღმდეგ შემთხვევაში, დაირღვევა კონსტიტუცია.

– გარდაუვალი იყო დილემა, რომ პრემიერ-მინისტრი, იმავდროულად, შეიძლება პარლამენტის წევრი გამხდარიყო, რადგან კანონმდებლობით პრემიერს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიენიჭა.

პრემიერს ჰქონდა ასეთი არჩევანი: ან არჩევნებში მიეღო მონაწილეობა, ან დაკავებული თანამდებობიდან გადამდგარიყო. პრემიერის თანამდებობიდან გადადგომა იმას გამოიწვევდა, რომ მთავრობის დანარჩენ წევრებსაც შეუწყდებოდათ უფლებამოსილება.



ასევე მნიშვნელოვანია, საპროცედურო საკითხთა კომიტეტმაც დააჩქაროს კვირიკაშვილისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის პროცედურა, – განაცხადა გიორგი გოცირიძემ.

**ინტერპრესნიუსი**



# სერგო რატიანი: „სანდრას გადაწყვეტილებაში გაუგებარი არაფერია"

– არაფერი გაუგებარი ამ გადაწყვეტილებაში არ არის. სანდრა რულოვსის გადაწყვეტილება ცნობილი იყო.

ამის შესახებ განაცხადა ნაციონალური მოძრაობის აღმასრულებელმა მდივანმა სერგო რატიანმა.

– ეს არის სანდრას პირადი გადაწყვეტილება, რომლის თაობაზეც ჩვენ ვიყავით ინფორმირებული. გუშინ გვქონდა ამ თემაზე კომუნიკაცია. მე სრულიად მესმის მისი, არაფერი გაუგებარი ამ გადაწყვეტილებაში არ არის. პატივს ვცემთ მის პირად არჩევანს, – განაცხადა რატიანმა.

ნაციონალური მოძრაობის სიის მე-2 ნომერი სანდრა რულოვსი დეპუტატის მანდატზე უარს აცხადებს. მის ნაცვლად პარლამენტში გიორგი ღვინიაშვილი შევა.

**პირველი რადიო**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „სააკაშვილს მალე დაიჭერენ“

## რა ფინანსური დარღვევები აღმოუჩინეს ექსპრეზიდენტს უკრაინაში

შორენა მარსაგიშვილი

**რატომ გადადგა სააკაშვილი, რა თანხები გაიფლანგა მისი გუბერნატორობის დროს, ვის მოუწევს უკრაინიდან გაქცევა, რატომ თქვა სანდრა რულოვსმა დეპუტატობაზე უარი, რა ელოდება ნაციონალურ მოძრაობას? – ამის შესახებ „ახალ თაობას" სამხედრო ექსპერტი ტრისტან წითელაშვილი ესაუბრება.**

**ტრისტან წითელაშვილი:**

– ცოტა ხნის წინ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ვთქვი, რომ უკრაინის პრეზიდენტისთვის მიხეილ სააკაშვილის კორუფციული და დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ ყველა დეტალი გახდა ცნობილი. ექსპრეზიდენტმა ოდესის პორტიდან მილიარდები „მოტეხა“. ამის გარდა, მან შექმნა დაჭრილ მებრძოლთა დახმარების ფონდი, სადაც კოლოსალური თანხების მობილიზება ხდებოდა. სწორედ ამ ფონდის მეშვეობით აფინანსებდა ის თავის ზონდერებს, რომლებსაც საქართველოში არეულობის მოსაწყობად ამზადებდა.

***– დაჭრილი მებრძოლებისთვის განკუთვნილ თანხებს რომ ფლანგავდა, ამას უკრაინელები ასე მშვიდად რატომ უყურებდნენ?***

– მშვიდად არ უყურებდნენ, რამდენჯერმე სერიოზული სკანდალიც აგორდა. სააკაშვილს ყველაფერი ისე ჰქონდა აწყობილი, თითქოს ფონდში მობილიზებულ თანხებს დაჭრილებს ახმარდა. სინამდვილეში სულ სხვანაირად იყო საქმე. ჩემი უკრაინელი მეგობრების დახმარებით, მე ხელთ ჩამივარდა რამდენიმე საინტერესო ფაქტი.

არჩევნების წინ ცოტა ხნით ადრე, ოდესაში სააკაშვილთან საკონსულტაციოდ ნაციონალური მოძრაობის ლიდერები ჩავიდნენ. რაღაც გეგმების დაწყობის შემდეგ ყველანი ერთად რესტორანში წავიდნენ საქეიფოდ. ეს ქეიფი 111.000 გრივნა დაჯდა. თანხა საქველმოქმედო ფონდიდან გადაიხადეს. საბუთებში კი ჩაწერეს, თითქოს ომში დაჭრილ უკრაინელ სამხედროებს მოუწყვეს ფურშეტი.

უკრაინაში არის ტელეარხი ინტერი. ამ ტელეკომპანიას სააკაშვილმა მისი პირადი პიარისთვის 300.000 გრივნა გადაუხადა. ეს ფული მან საქველმოქმედო ფონდიდან აიღო. მანვე შეისყიდა ავტომობილები, რომლებიც თანაგუნდელებს დაურიგა. საუბარია საქართველოდან ჩაყვანილ ზონდერებზე. მათთვის ავტომანქანების შეძენაზე 400.000 გრივნა დაიხარჯა. სადღაც 200.000 გრივნა დაიხარჯა ამ ავტომობილების მომსახურებაზე. ეს თანხებიც ფონდიდან მიითვისეს.

ამავე ფონდიდან ფინანსდებოდა სააკაშვილის უცხოური ვოიაჟები და პირადი მცველების ანაზღაურება. საზღვარგარეთ ყოფნისას მას მუდამ თან ახლდნენ გიორგი რუბაშვილი და გიორგი ცინცაძე. ორივე მათგანი მაღალანაზღაურებად მცველებად ითვლებიან.

საქველმოქმედო ფონდიდან ფინანსდებოდა ზურაბ ადეიშვილის და გია ლორთქიფანიძის აქეთ-იქეთ სიარული. ისინი საცხოვრებლად ძვირადღირებულ სასტუმროებში ჩერდებოდნენ.



სააკაშვილის დავალებით ოდესაში მიიწვიეს მომღერალი თათია ჯამარაძე, რომელმაც კონცერტები გამართა. ეს ყველაფერი 400.000. გრივნა დაჯდა. მოკლედ რომ გითხრათ, ძალიან ბევრი სკანდალი ამოტივტივდა ამ ფონდთან დაკავშირებით. ეს ინფორმაცია მიუტანეს პოროშენკოსაც. ის ძალიან გაბრაზდა და სააკაშვილის მოხსნა გადაწყვიტა.

***– თუმცა არ მოხსნა, სააკაშვილი თავად წავიდა.***

– პოროშენკოს უნდოდა ის გამოძიების დასრულების შემდეგ მიეცა პასუხისგებაში. ჩემი უკრაინელი მეგობრების მოწოდებული ინფორმაციების მიხედვით, გამოძიების პროცესში ბევრი ნაციონალის გვარი ამოტივტივდა.

მის წინააღმდეგ რომ სამართლებრივი დევნა დაიწყო, ეს ინფორმაცია მიუვიდა მიხეილ სააკაშვილს. ამიტომაც დადგა სპექტაკლი გადადგომის შესახებ და განაცხადა, რომ ოპოზიციაში მიდის. დამერწმუნეთ, რომ ეს არ მოხდება, სააკაშვილი ოპოზიციაში ვერ წავა.

***– რატომ ვერ წავა? უკრაინული მედიის ინფორმაციით, მან უკვე დაიწყო პარტიის შექმნა, რომელსაც „ტალღა“ ერქმევა.***

– იმიტომ ვერ წავა, რომ მასთან დაკავშირებით პოლიტიკური გადაწყვეტილება უკვე მიღებულია. მე წინა ინტერვიუში გითხარით, რომ სააკაშვილის ამერიკელ მფარველებს და ლობისტებს სკანდალური დოკუმენტები დაუდეს, სადაც ნათლად წერია, რა კორუფციულ გარიგებებშია ეს კაცი შესული. ამავე დოკუმენტებში იმაზეც არის საუბარი, რომ სააკაშვილს ისლამური სახელმწიფოს მებრძოლებთან ჰქონდა კავშირი და მათ ფულს უხდიდა. ამერიკელები მის დასაცავად ხმას აღარ ამოიღებენ.

გადადგომის სპექტაკლს რომ ვუყურე, ჩემს უკრაინელ კოლეგებს დავუკავშირდი. მათ მითხრეს, რომ ახლო მომავალში სააკაშვილს დააპატიმრებენ. ჩვენს ხელისუფლებას ვურჩევ, უკვე დაიწყოს საბუთების მოგროვება.

***– რისთვის უნდა შეაგროვონ საბუთები?***

**ტრისტან წითელაშვილი: „გიგი წერეთელი და ხათუნა გოგორიშვილი ნაცმოძრაობიდან მიდიან“**

– იმისთვის, რომ ყოფილი პრეზიდენტის ექსტრადირება მოხდეს. მას საქართველოში უამრავი დანაშაული აქვს ჩადენილი და პასუხი ქართული მართლმსაჯულების წინაშეც უნდა აგოს. სასამართლოს წინაშე წარდგება გია ლორთქიფანიძეც, რომელმაც, სააკაშვილის მსგავსად, თანამდებობა 7 ნოემბერს დატოვა.

***– სააკაშვილის და ლორთქიფანიძის გადადგომას სანდრა რულოვსის მიერ დეპუტატობაზე უარის თქმა დაემთხვა. რამე საერთო გეგმები ხომ არ აქვთ მათ?***

– გეგმები როგორ არ აქვთ. ნაციონალურ მოძრაობაში ძალიან სერიოზული განხეთქილებაა. იქ ყველაფერი თავდაყირა დადგა და რამდენიმე დაჯგუფება შეიქმნა. პარტია ბოკერიას, ახალგაზრდების, ბაქრაძის და სააკაშვილის დაჯგუფებებად დაიყო. ამ გუნდებს შორის სერიოზულ საქმის გარჩევებს აქვს ადგილი. ერთ-ერთ შეხვედრაზე სანდრა რულოვსს სხვა დაჯგუფების წევრებთან დიდი დაპირისპირება მოუხდა და ამიტომაც დატოვა პარტია.

***– არის ვერსია, რომ ის პარტიის თავმჯდომარეობისთვის აპირებს ბრძოლას. ამ ვერსიაზე რას ფიქრობთ?***

– მას ალბათ ძალიან უნდა, რომ პარტიის თავმჯდომარე გახდეს, მაგრამ ამის შანსი არ აქვს. სანდრა რულოვსმა დეპუტატობაზე უარი იმიტომ თქვა, რომ მიხვდა – მისი და მისი მეუღლის ამბავი დამთავრებულია.

***– დამთავრებულია ვითომ?***

– დამთავრებულია, დამთავრებული. მთელმა მსოფლიომ დაინახა ამ კრიმინალური ოჯახის და პარტიის ნამდვილი სახე. მათ ლობისტები აღარ ჰყავთ და სამართალდამცავ ორგანოებთან პირისპირ აღმოჩნდნენ. სწორედ ამით არის განპირობებული ის გადაწყვეტილებები, რომლებიც ამ დღეებში ვიხილეთ. მიშაც და სანდრაც თვითგადარჩენის რეჟიმზე არიან გადასულები.




***– თუ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც თქვენ ამბობთ, სააკაშვილს მშობლიური პარტიისთვის აღარ ეცლება. მის გარეშე ნაციონალებს რა პერსპექტივები ექნებათ?***

– ნაციონალები სააკაშვილის გარეშე ვერ იარსებებენ. ჩათვალეთ, რომ ნაციონალები უკვე აღარ არიან. ცოტა ხნის წინ მიშა მაჭავარიანი წავიდა. ახლო მომავალში იგივეს იზამენ ხათუნა გოგორიშვილი და გიგი წერეთელი. ეს უცბად არ მოხდება, მაგრამ პროცესი დაწყებულია. და როგორც თავის დროზე მოქალაქეთა კავშირი გაქრა საერთოდ პოლიტიკური სივრციდან, ასევე გაქრება ეს პარტიაც.

***– ყოფილი ნაციონალები სად წავლენ, ყოფილი მოქკავშირლებივით სხვა პარტიებს შეეხიზნებიან?***

– სხვადასხვა პარტიებში გადანაწილდებიან. თავად ნაციონალური მოძრაობა აღარ იარსებებს.

***– სად წავლენ ზონდერები, რომლებსაც ამ პარტიასთან აქვთ კავშირი და რომლებზეც თქვენ ხშირად საუბრობდით? ამბობდით, რომ ისინი აქ არეულობის მოწყობას აპირებდნენ. არეულობა ისევ გეგმაშია?***

– ზონდერები ველარაფერს ველარ გააკეთებენ. მათ აფინანსებდა მიხეილ სააკაშვილი. უკრაინელი მებრძოლებისთვის შექმნილი საქველმოქმედო ფონდიდან მისდიოდათ მათ ფული. ეს წყარო მათ ჩაეკეტათ და მაგის გარეშე არაფერს გააკეთებენ.

ოდესაში სააკაშვილს ქართველი ზონდერების რამდენიმე დაჯგუფი ჰყავდა. ეს დაჯგუფებებიც დაიშალა. მისი წევრები ცდილობენ, ძალოვან სტრუქტურებში შეძვრნენ და თავი გადაირჩინონ. საკმაოდ ცუდად აქვს საქმე გენერალ გიგი კალანდაძეს. ის სააკაშვილის გუნდში მოიაზრებოდა. ძალიან მალე მას თანამდებობის და უკრაინის დატოვება მოუწევს.

მთელი ამდენი ხნის მანძილზე ხომ ვამბობდი, რომ მათგან საფრთხე გვემუქრებოდა. ახლა გეუბნებით, რომ მათგან საფრთხე აღარ არის. შემიძლია თამამად გითხრათ, რომ ნაციონალური მოძრაობა დამთავრდა. ჩემი თავის ქება არ მიყვარს, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ ჩემს თანამოაზრეებთან ერთად ამ პარტიის დემორალიზებაში დიდი წვლილი ჩვენ შევიტანეთ.

ზაფხულში „ჩვენმა სამშობლომ“ ნაცმოძრაობის პარტიის წინ სააკაშვილის ფიტულები დავწვით, მერე ამერიკის და უკრაინის საელჩოებთან გავმართეთ აქციები. ლობისტებს დავანახეთ ყოფილი პრეზიდენტის ნამდვილი სახე და შედეგმაც არ დააყოვნა. სააკაშვილის საციხედ აქვს საქმე, ნაცმოძრაობა კი დამთავრდა. მინდა იცოდეთ, რომ ჩვენ შეჩერებას არ ვაპირებთ.

***– კიდევ რის გაკეთებას აპირებთ?***

– სამართლიანობის აღდგენისთვის ვიბრძოლებთ. აუცილებლად მივაღწევთ იმას, რომ ნაციონალური მოძრაობა რეჟიმად გამოცხადდეს. ჩვენ მომზადებული გვაქვს სათანადო დასკვნა, რომელიც განსახილველად პარლამენტს გადაეცემა. ამ დასკვნის უკან ყველა ის ადამიანი დგას, ვისაც სისხლიანი რეჟიმი უსამართლოდ მოექცა.

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# სააკაშვილი: „მე შევქმნი უკრაინის ახალ პოლიტიკურ ელიტას“

## „დეკანოიძესთან ჩემი შედარება არაკორექტულია“




ოდესის გადამდგარი გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი უკრაინის პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს ფეისბუქის პირად გვერდზე პასუხობს.

– პრეზიდენტ პოროშენკოსთვის კარგად არის ცნობილი, რომ უშუალო მონაწილეობა არ მიმიღია საქართველოს არჩევნებში და არ შემეძლო ამის გაკეთება სურვილის შემთხვევაშიც კი, რადგან უკრაინის მოქალაქე ვარ.

ვინ, თუ არა მან, ზუსტად იცის, რომ დეკანოიძესთან და სხვა „მოწვეულ“ ქართველებთან ჩემი შედარება არცთუ კორექტულია. ჩემს წარმომავლობაზე აპელირება ძალიან ჰგავს ავაკოვისა და მსგავსი მოღვაწეების მეთოდებს, მე კი სურვილი მექნებოდა, პრეზიდენტი ამ რიტორიკაზე მაღლა დადგეს.

უკრაინაში, დაახლოებით, იმავე დროს ჩამოვედი, როდესაც – ჩემი თანაინსტიტუტელი პეტრო პოროშენკო. ის მოლდოვიდან, მე – საქართველოდან და, რა თქმა უნდა, მისი მადლიერი ვარ უკრაინის მოქალაქეობის მონიჭებისთვის. ასე რომ, ყველას მოუწევს მიჩვევა, რომ მე ვარ უკრაინელი პოლიტიკოსი და მოვიპოვებ გამარჯვებებს, ან დავმარცხდები არა საქართველოში, არამედ უკრაინაში.

პრეზიდენტმა კარგად იცის, რომ გადადგომა ჯერ კიდევ 6 თვის წინ მინდოდა, მაგრამ რეფორმების დაპირებით დამიყოლია, დავრჩენილიყავი. უბრალოდ, ამჯერად მე აღარ მჯეროდა დაპირებების და საქართველოს არჩევნები აქ არაფერ შუაშია, – წერს მიხეილ სააკაშვილი.

პოსტსკრიპტუმში ოდესის ყოფილი გუბერნატორი მიუთითებს, რომ სასაცილოა იმის ყურება, პრეზიდენტის ადმინისტრაცია და მინისტრთა კაბინეტი ერთმანეთს როგორ აკისრებენ პასუხისმგებლობას მის გადადგომაზე.

* * *

უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ ოდესის ოლქის გუბერნატორ მიხეილ სააკაშვილის გადადგომის შესახებ პირველი კომენტარი სლოვენიაში ვიზიტისას გააკეთა.

ის იმედოვნებს, რომ უკრაინის მინისტრთა კაბინეტი სააკაშვილის გადადგომას მხარს დაუჭერს. უკრაინის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ რეფორმების გასატარებლად უკრაინაში მიწვეული ზოგიერთი ქართველი მოღვაწე დღემდე წარმატებით მუშაობს უკრაინის მთავრობაში.

მათ შორის მან დაასახელა უკრაინის ეროვნული პოლიციის უფროსი ხატია დეკანოიძე და უკრაინის ანტიკორუფციული ბიუროს დირექტორის პირველი მოადგილე გიზო უგულავა.

– ზოგიერთმა ადამიანმა გადაწყვიტა საქმიანობის სფეროს შეცვლა და უკრაინაში პოლიტიკური აქტიურობის დაწყება ქართულ არჩევნებში დამარცხების შემდეგ, – დასძინა პოროშენკომ.

* * *

– უკრაინას სჭირდება ახალი პოლიტიკური ელიტა და მის შექმნაში ძალიან აქტიურად მივიღებ მონაწილეობას.

ამის შესახებ მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა.

მისივე თქმით, უკრაინაში არის დაახლოებით ის, რაც საქართველოში იყო 2001 წელს – რეფორმები შეჩერდა და გაიჭედა; კორუფციამ ისევ ყველაფერი მოიცვა და ხალხი არის უკმაყოფილო.

– ხალხთან ერთად ჩვენ უნდა შევცვალოთ მთელი უკრაინის პოლიტიკური ელიტა და ამაში მე მივიღებ აქტიურ მონაწილეობას. მე მაქვს ხალხის დიდი მხარდაჭერა მთელ უკრაინაში. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენს გამარჯვებას წინ ვერაფერი დაუდგება. უკრაინას სჭირდება ახალი პოლიტიკური ელიტა და მის შექმნაში ძალიან აქტიურად მივიღებ მონაწილეობას, – განუცხადა მიხეილ სააკაშვილმა ტელეკომპანია რუსთავი 2-ს.

# პაატა ჯიბლაძე: „ქართულმა ოცნებამ“ სხვებთანაც უნდა ითანამშრომლოს“

## „ქართული ოცნებისადმი“ მხარდაჭერა სააკაშვილის მიმართ შიშით აიხსნება“

მარიამ მჭედლიშვილი



**ქვეყანაში შექმნილ ვითარებაზე „ახალი თაობა" ესაუბრა მემარცხენე ალიანსის პოლიტიკურ ლიდერ პაატა ჯიბლაძეს**

***– მოსახლეობა ძალიან ზარალდება ლარის დევალვაციით. როგორ გგონიათ, არჩევნების წინ რომ ლარის კურსი ასეთ დღეში ყოფილიყო, „ქართული ოცნება“ ასეთ დიდ მხარდაჭერას მიიღებდა?***

– ლარის კურსის ვარდნას რამდენიმე მიზეზი აქვს. არჩევნების წინ ყოველთვის ხდება ხარჯების ზრდა, მაგრამ გაუფასურება მარტო ამით არაა განპირობებული. მაჟორიტარული არჩევნების მეორე ტურის წინაც გაუფასურებული იყო ლარი, მაგრამ ამომრჩევლებმა პრაქტიკულად ყველგან „ქართული ოცნების“ კანდიდატებს მისცეს ხმა. ამას თავისი მიზეზი აქვს. „ქართული ოცნების“ სტაბილურ მხარდამჭერებს მიემატნენ ისინი, ვისაც არ უნდა ნაციონალური მოძრაობის სისხლიანი რეჟიმის დაბრუნება. ხალხზე იმოქმედა ფსიქიკურად აშლილი სააკაშვილის განცხადებებმა უახლოეს ხანში საქართველოში ჩამოსვლის შესახებ. ამ პირობებში ბევრმა „ოცნება“ შემოხაზა. ადამიანების ნაწილმა ჩათვალა, რომ სხვა პარტიის არჩევისას მისი ხმა დაიკარგებოდა. იმედი მაქვს, „ქართული ოცნება“ ქვეყნის სასიკეთოდ გამოიყენებს იმ საკონსტიტუციო უმრავლესობას, რომელიც მან მიიღო. დარწმუნებული ვარ, რომ სხვა სიტუაცია იქნება ადგილობრივ არჩევნებზე.

***– ადგილობრივ არჩევნებზე ვეღარ მოხდება ამომრჩევლის მობილიზება ვილაცის წინააღმდეგ?***

– დიახ. მაშინ არ იქნება ნაციონალების მობრუნების საფრთხე. ამიტომ, ამომრჩეველი გააკეთებს უფრო დაფიქრებულ არჩევანს. საკრებულოებში მოხვდებიან სხვა პარტიების წარმომადგენლებიც. მით უმეტეს, ადგილობრივი თვითმმართველობა უშუალოდ უწყვეტს მოსახლეობას საყოფაცხოვრებო და სხვა პრობლემებს. მერებისა და გამგებლების არჩევნებიც გამოსაფხიზლებელი იქნება ხელისუფლებისათვის. თუ ხალხში უკმაყოფილებაა, ეს გამოჩნდება.

***– ზოგიერთი ექსპერტი ფიქრობს, რომ პარლამენტის კომიტეტების თავმჯდომარეებად ახალი სახეების წარდგენა საზოგადოების მოთხოვნაა.***

– საზოგადოების დიდმა ნაწილმა გამოუცხადა ნდობა „ქართულ ოცნებას“. საკადრო საკითხები „ოცნების“ გადასაწყვეტია. ზოგი ახალი სახე პარლამენტში იქნება, ზოგი – მთავრობაში. მთავარია, მოხდეს ოპტიმიზაცია.

***– სამინისტროების რაოდენობის შემცირებას თქვენც ემხრობით?***

– რასაკვირველია. ესპანეთს 13 მინისტრი ჰყავს, შვეიცარიას – 8. გაუგებარია, რად უნდა საქართველოს 19 ან 20 მინისტრი? სამინისტროების რაოდენობა დაახლოებით 9 უნდა იყოს. საერთოდ გასაუქმებელია გუბერნატორის ინსტიტუტი, შესამცირებელია გაბერილი შტატები საკრებულოებსა და გამგეობებში. გამოთავისუფლებული თანხები უნდა მოხმარდეს ხალხის ინტერესებს. კერძოდ, დასაქმებას სხვა სექტორში.

***– სახელმწიფომ როგორ უნდა დაასაქმოს ადამიანები არასაბიუჯეტო სექტორში?***

– საკანონმდებლო ცვლილებებით, ფინანსური ხელშეწყობით. განვითარებულ სახელმწიფოებში მცირე და საშუალო ბიზნესიდან ბიუჯეტში შემოსავლების 60% შედის. ჩვენთან აღარც შესაბამისი კანონმდებლობაა. მცირე და საშუალო ბიზნესი ვერ ვითარდება. დიდია უმუშევრობა. ყველაფერი მსხვილი ბიზნესის ხელშია.

***– ითვლება, რომ მომავალი 4 წელიწადი მძიმე იქნება „ქართული ოცნებისათვის“ იმ მხრივაც, რომ ეს ხელისუფლებაში ყოფნის მეორე ვადაა. არსებული პრაქტიკით, მერე ცვლილებები ხდება.***

– ეს 4 წელიწადი, მართლაც, უფრო მძიმე იქნება „ქართული ოცნებისათვის“, ვიდრე წინა პერიოდი. მაშინ ყურადღება გადადიოდა მმართველი კოალიციის სიჭრელეზე, კოაბიტაციაზე, ხან კი – ნაცმოძრაობის დანაშაულებზე. ახლა მმართველი პარტია სხვა მდგომარეობაშია. ამიტომ, თუ არ გაატარებს ზომებს ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური აღმავლობისათვის, თუ არ გადადგამს ნაბიჯებს ტერიტორიული მთლიანობისა და დევნილთა ღირსეული დაბრუნებისათვის, მას ხალხი შესაფერის ადგილს მიუჩენს. იმისათვის, რომ ხალხის პრობლემები რეალურად გადაჭრას, „ოცნება“ მარტო საკუთარ თავში არ უნდა იხარშებოდეს.

***– კერძოდ?***

– მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობა აქვს, იგი საკუთარ თავში არ უნდა ჩაიკეტოს. საჭიროა თანამშრომლობა ჯანსაღ პოლიტიკურ ძალებთან, საზოგადოებასთან. ჯანსაღ ძალებში არ შედიან ნაციონალური მოძრაობა და მისი სატელიტები.

***– გინდათ თქვათ, რომ პოლიტიკური ველი არ დაცარიელებულა?***

– ბუნებრივია. რამდენიმე ლიდერი პოლიტიკიდან წავიდა. ეს არ ნიშნავს, რომ ამ ადამიანების კომპეტენციისა და გამოცდილების გამოყენება არ შეიძლება. „ქართულმა ოცნებამ“ სხვებთანაც უნდა ითანამშრომლოს. პარტიულებთანაც და უპარტიოებთანაც. მემარცხენე ალიანსი აქამდეც კონსტრუქციულად ვთანამშრომლობდით მმართველ პარტიასთან. მაგალითად, მიწის ბიუჯეტის ხარჯზე რეგისტრაცია ჩემი ინიცირებულია, ისევე, როგორც მაღალმთიანი სოფლების ჩამონათვალის გაზრდა. სამწუხაროდ, კიდევ დარჩა სოფლები, რომლებიც მაღალმთიანია, მაგრამ აღიარებული არ არის და მათი მოსახლეობა ვერ სარგებლობს დაწესებული შეღავათებით. პარლამენტში შეტანილი გვაქვს კანონპროექტები მინიმალური ხელფასის საარსებო მინიმუმთან გატოლებისა და სითი პარკის მუშაობის რეგულირების თაობაზე.

***– სითი პარკს, მცდელობების მიუხედავად, დღემდე ვერავინ მიხედა.***

– წინა ხელისუფლების დროს შემოყვანილი სითი პარკი ისევ აგრძელებს ჩვენი მოქალაქეების ძარცვას. ჩვენ გამოსავალს ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილებებში ვხედავთ. რამდენიმე დღის წინ პრესკონფერენციაზე პარტიებსა და საზოგადოებას აქტიურობისაკენ მოვუწოდე. კარგი იქნება, რომ შევიკრიბოთ, ვიმსჯელოთ მტკივნეულ პრობლემებზე და სხვადასხვა იდეითა და ინიციატივით მივმართოთ ხელისუფლებას. თქვენს გაზეთს თითქმის ყველა კითხულობს და მინდა მათ „ახალი თაობის“ ფურცლებიდანაც მივმართო – მივიღოთ მონაწილეობა ქვეყნის ბედის გადაწყვეტაში. მერე რა, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობა „ქართულ ოცნებას“ აქვს! ჩვენც ამ ქვეყნის შვილები ვართ, პრობლემა ბევრია. მათ გადაჭრაზე ყველამ უნდა ვიზრუნოთ, თორემ, სხვანაირად, ქვეყანა ვერ განვითარდება.

# დეჟავუ ფაილები – გაყიდული პირადი ცხოვრება

საჯარო რეესტრში რეგისტრაციისას მოქალაქე მისი პერსონალური ინფორმაციის ნაწილს, ფაქტობრივად, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უზიარებს. პირადი ნომრის გარდა, მათ პასპორტის ნომრის, ელექტრონული ფოსტის, საცხოვრებელი ადგილის, მისამართის, მობილურის ნომრისა და სხვა პერსონალური მონაცემების გაგებაც შეუძლიათ.

საჯარო რეესტრის ბაზაში არსებული დოკუმენტები, განსაკუთრებით კი „დეჟავუ ფაილები“, რომლებიც ნებისმიერი მსურველისთვის ინტერნეტის მეშვეობითაც ხელმისაწვდომია, აღნიშნულ პირად მონაცემებს ინახავს.

„დეჟავუ ფაილებში“ რეგისტრატორის პასპორტის ასლის ნახვა და დამატებითი ინფორმაციის გაგებაც შესაძლებელია. როგორ უცნაურადაც უნდა ჟღერდეს, მესამე პირის მიერ მოქალაქის პირადი მონაცემების ამ გზით მოპოვება სავსებით კანონიერია და მეტიც, ფაილების გარკვეულ ნაწილს საჯარო რეესტრი დაინტერესებულ პირზე ყიდის, ნაწილი კი უფასოა.

მართალია, „დეჟავუ ფაილს“, პრაქტიკულად, სხვა დანიშნულებითა და მიზნით უფრო იყენებენ, ვიდრე პერსონალური მონაცემების მოსაპოვებლად, თუმცა ფაქტი ერთია – იგი პერსონალურ ინფორმაციას შეიცავს.

სტუდია „მონიტორის“ ყოფილი გამომძიებელი ჟურნალისტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების ასისტენტ-პროფესორი მაგდა მემანიშვილი „კიბერ კვირასთან“ საუბრისას აღნიშნავს, რომ „დეჟავუ ფაილი“ გამომძიებელი ჟურნალისტისთვის მოსახერხებელი ინსტრუმენტია, რადგან ოთახიდან გაუსვლელად, შესაბამისი მასალების ჩამოტვირთვით, ელექტრონულად შეგიძლია, მოიპოვო წლების განმავლობაში დაგროვილი უამრავი დოკუმენტი და თვალი მიადევნო, თუ რა ხდება ამა თუ იმ კომპანიაში, როგორ იცვლებოდა წილები, როგორ იღებდა გადაწყვეტილებას დირექტორთა საბჭო, და ა.შ.

– ეს არსებული სურათის დანახვის საშუალებას გაძლევს. მათი ნაწილი უფასოა და შეგიძლია, პირდაპირ ჩამოტვირთო. თუ ძალიან ძველი დოკუმენტი გაინტერესებს, მაშინ საფასური, 1 გვერდისთვის 50 თეთრი უნდა გადაიხადო. როდესაც პირს შპს-ს დაარსება სურს, რეესტრი მაშინვე ასკანერებს და ინახავს ამ განცხადებას. ასე რომ, ასეთი ტიპის განცხადება სრულიად უფასო და ხელმისაწვდომია, – განმარტავს ჟურნალისტი.

შეიძლება, ეს ინფორმაცია, მისივე ბუნებით, საჯარო არ უნდა იყოს, თუმცა, როდესაც ამას კანონი არ არეგულირებს, საჯარო უწყებას მისი აკრძალვისა და დაფარვის უფლება არ აქვს. თუ ერთმა ფიზიკურმა პირმა მეორისგან მიწა იყიდა, საქართველოს კანონმდებლობით, ეს ინფორმაციაც ხელმისაწვდომია და შეგიძლია, შესაბამისი საფასურის გადახდის შემდეგ საჯარო რეესტრიდან სასურველი დოკუმენტაცია გამოითხოვო.

– ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ნებისმიერი მოქალაქის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ხილვა შეუძლია. ეს ღია, ფასიანი ინფორმაციაა, რომლის მიწოდებისას საჯარო რეესტრი არ სთხოვს დაინტერესებულ პირს დაუსაბუთოს, თუ რისთვის სჭირდება აღნიშნული ინფორმაცია, – აცხადებს ჟურნალისტი.

მაგდა მემანიშვილის თქმით, 2011 წელს გამომძიებელმა ჟურნალისტმა ნინო ზურიაშვილმა ვანო მერაბიშვილთან დაკავშირებული რამდენიმე შპს-ს საქმე გამოიძია, რომლებიც სახელმწიფოსგან იაფად იძენდნენ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ მიწებს და შემდეგ ძვირად ყიდდნენ.

ჟურნალისტურმა გამოძიებამ გამოააშკარავა, რომ ამ კომპანიებმა 3 წელიწადში 27 მილიონი ლარის მოგება ნახეს. მაშინ ვერ გათვალეს და ვერ წარმოიდგინეს, რომ ყიდვა-გაყიდვის ამ ხელშეკრულებებს ვინმე შეისწავლიდა და ერთმანეთს შეადარებდა. რომ არა „დეჟავუ ფაილები“, ეს გამოძიება ვერ შედგებოდა.

* * *

საჯარო რეესტრის გარდა, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებზე, მათ დირექტორებსა და მფლობელებზე მონაცემების მოპოვება დაინტერესებულ პირს „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ კუთვნილ ვებგვერდზეც შეუძლია.

მართალია, ეს ვებგვერდი 2014 წლიდან არ განახლებულა, თუმცა მანამდე არსებული ინფორმაცია ისევ ხელმისაწვდომია. აღსანიშნავია, რომ ის, საჯარო რეესტრისგან განსხვავებით, მხოლოდ კონკრეტულ სეგმენტზეა გათვლილი და მის ბაზაზე არსებული მონაცემის სრული რაოდენობა უფასოა.

როგორც „კიბერ კვირას“ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მკვლევარმა ანა დაბრუნდაშვილმა განუცხადა, თუკი მოქალაქე საიტზე მის შესახებ არსებული ინფორმაციის დახურვას მოინდომებს, ესეც შესაძლებელია, თუმცა ის პირი, ვინც არ არის ინფორმირებული იმის შესახებ, რომ მისი ინფორმაცია ვებგვერდზეა მოცემული, ვერაფერს იღონებს.

* * *

ამ შემთხვევაში ერთმანეთს, ერთი მხრივ, რეესტრის კანონით გათვალისწინებული საჯაროობა და, მეორე მხრივ, პერსონალური მონაცემების კანონით გათვალისწინებული კონფიდენციალურობა უპირისპირდება, რადგან რეესტრში რეგისტრაციისას აღნიშნული მონაცემები უკვე ნებისმიერი მსურველისთვის ხდება ხელმისაწვდომი.

როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ თანადამფუძნებელმა, უფლებადამცველმა მარიკა არევაძემ „კიბერ კვირასთან“ საუბრისას აღნიშნა, პერსონალური მონაცემების დაცვისა და რეესტრის საჯაროობის ურთიერთმიმართება დარეგულირებული ჯერჯერობით არ არის.

– როგორც ვიცი, ამასთან დაკავშირებით, ჯერ არც საჩივარი ყოფილა და არც კონკრეტული პრაქტიკა არსებობს, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როდესაც ერთმანეთს ორი დაცული სფერო ეჯახება. საჯარო რეესტრის რეგისტრაციები უკვე ხელმისაწვდომს ხდის პირად მონაცემებს და სწორედ ეს არის დასარეგულირებელი, – განმარტავს უფლებადამცველი.

ამრიგად, კანონი ჯერჯერობით არაფერს ამბობს და შესაბამისად, არც არავის აქვს ვალდებულება, არარსებულ კანონს დაემორჩილოს. სანამ არსებული რეალობა კანონმდებლობით დარეგულირდება და პირის პერსონალურ მონაცემებზე წვდომას ნებისმიერი მსურველი ვეღარ შეძლებს, ჩვენ ამ სტატიით ერთადერთი რამის გაკეთება შეგვიძლია ვაცნობოთ მკითხველს და გავაფრთხილოთ, რომ თქვენი პერსონალური ინფორმაცია, შესაძლოა, თქვენ გარდა, სხვამაც იცოდეს.

**კვირა**

# მოზარდები რიტუალის შესასრულებლად წყნეთის სასაფლაოზე იკრიბებიან

## რას ყვება „კვირასთან“ სასულიერო პირი



სექტა, რომელშიც მოზარდები არიან გაერთიანებული, წყნეთშიც არსებობს.

13-16 წლის ბავშვები რიტუალის შესასრულებლად წყნეთის სასაფლაოზე იკრიბებიან. ამის შესახებ „კვირას“ წყნეთის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის წინამძღოლი მამა იოანე (ოქროპირიძე) ესაუბრა.

როგორც მამა იოანე აღნიშნავს, წყნეთში მოქმედი სექტის შესახებ მას ინფორმაცია უკვე რამდენიმე წელია აქვს და პრობლემა საკმაოდ გლობალურია.

სასულიერო პირი ამბობს, რომ მსგავსი სექტები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში არსებობს.

– გასულ კვირას ჩვენ ფაქტის წინაშე დავდექით. მოხდა საზარელი შემთხვევა.

მე მაქვს ინფორმაცია, რომ არსებობს მოზარდების სექტები, ეს ახალი არაა, ეს არის სერიოზული პრობლემა. სექტაში გაერთიანებული ბავშვები, ჩვენი ინფორმაციით, წყნეთის სასაფლაოზე იკრიბებიან და სხვადასხვა რიტუალს ასრულებენ, კონკრეტულად რა რიტუალებს, არ ვიცი და არც მინდა ვიცოდე.

ეს, მე როგორც ვიცი, ამჟამადაც ხდება. ჩვენ, ეკლესიას, რა შეგვიძლია ამ შემთხვევაში? ჩვენ მხოლოდ ერთი რამის გაკეთება შეგვიძლია – ვიაროთ სკოლებში, უნივერსიტეტებში და ვიქადაგოთ, – აცხადებს მამა იოანე.

წყნეთის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის წინამძღოლი არ გამორიცხავს, რომ მოზარდების უკან, შესაძლოა, გაცილებით სერიოზული ძალა იდგეს. აქედან გამომდინარე, მამა იოანე მიიჩნევს, რომ ისეთი ტრაგედიის თავიდან ასაცილებლად, რომელიც გასულ კვირას თბილისში, ბერი გაბრიელის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ კორპუსში მოხდა, ქმედითი ღონისძიებები უნდა გატარდეს, რაშიც საზოგადოება და ყველა სახელისუფლებო უწყება უნდა ჩაერთოს.

– მსგავსი პრობლემის აღმოსაფხვრელად უნდა გააქტიურდეს ყველა სახელმწიფო სტრუქტურა და უნდა მივმართოთ ყველანაირ პრევენციას, საზოგადოებამაც და ხელისუფლებამაც, – ამბობს მამა იოანე.

* * *

„კვირას“ წყნეთის მცხოვრები დაუკავშირდა. ადამიანი, რომელსაც ვინაობის გამხელა არ სურს, აცხადებს, რომ გასულ წელს წყნეთში, მიტოვებულ შენობაში, სადაც ეკლესიის ზარებს ასხამდნენ, 13-14 წლის მოზარდები იკრიბებოდნენ და სხვადასხვა რიტუალს ასრულებდნენ.

– მე ჩემი თვალით მაქვს ნანახი, თუ რა ხდებოდა იმ შენობაში, სადაც ეკლესიის ზარებს ასხამდნენ: იკრიბებოდნენ 13-14 წლის ბავშვები და ასრულებდნენ სხვადასხვა რიტუალს. იქ იყო რაღაც უცნაური საგნებიც, ბევრჯერ ვნახე შავი სანთლები, მოკლული ცხოველები. გახმაურების შემდეგ ამ სექტის წევრებმა ადგილი შეიცვალეს. თუ ვინმე დაინტერესდება, შეუძლია, მივიდეს იმ მიტოვებულ შენობაში და ნახოს იმ სექტის წევრების „ნასახლარი“, – განაცხადა „კვირასთან“ წყნეთის მცხოვრებმა.

**თამარ ოქრუაშვილი, კვირა**

# საქართველოში ავტომობილების ტექდათვალიერება ბრუნდება



**ავტომობილების ტექდათვალიერება საქართველოში 2004 წელს გაუქმდა. მაშინ მისი ფასი 40 ლარს შეადგენდა.**

მას შემდეგ 10 წელზე მეტი გავიდა და, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ვისაც ოთხი ბორბალი ჰქონდა სახლში, საჭე დაუყენა და ქუჩაში გამოვიდა. შედეგად, საქართველოში, ავტომობილების გაუმართაობის გამო, ავტოსაგზაო შემთხვევებმა ძალიან იმატა.

მთავრობის ინიციატივა საზოგადოებას ეკონომიკის მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა გააცნო. საქართველოს მთავრობა აცხადებს ინტერესთა გამოხატვას ავტოსატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო პერიოდული ტესტირების სრულად ასამოქმედებლად საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის მიზნით.

ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობის მიღება შეეძლება ყველა საერთაშორისო კომპანიას, რომელსაც ექნება ევროკავშირის წევრ ქვეყნებში პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების დანერგვის გამოცდილება. ინტერესთა გამოხატვის წარდგენა მოხდება დალუქული კონვერტით 2016 წლის 2 დეკემბრის ჩათვლით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში.

შეფასების პროცესი წარიმართება შესაბამისი სამთავრობო კომისიის მიერ, რომელიც წარმოდგენილი წინადადებების შესწავლის საფუძველზე გამოავლენს გამარჯვებულს. საბოლოო გადაწყვეტილებას საქართველოს მთავრობა მიიღებს.

მთავრობის მიზანია, რომ საქართველოში გვქონდეს გამჭვირვალე და ხარისხზე ორიენტირებული თავისუფალი ბაზარი. ამდენად, ის მიესალმება ყველა ინვესტორის შემოსვლას, რომელიც შესაბამის სტანდარტებს დააკმაყოფილებს. საქართველოს მთავრობის მიზანია, ხელი შეუწყოს მოქალაქეებისთვის ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას.

ტექნიკური დათვალიერების სისტემის დანერგვას უნდა მოჰყვეს ეკოლოგიური და ჯანსაღი გარემოს მნიშვნელოვნად გაუმჯობესება.

დღეს ჩვენს ქვეყანაში გარემოს დაბინძურების ძირითად წყაროს სწორედ ავტოსატრანსპორტო საშუალებების გაუმართაობა და ამ დარგში სტანდარტების არარსებობა წარმოადგენს. ამ მიმართულებით დღევანდელი ვითარება რომ მძიმეა, ამას საერთაშორისო კვლევებიც ადასტურებს. ყურადსაღებია ავტოსაგზაო შემთხვევების სტატისტიკაც, რომლის მიხედვითაც, ავტოსაგზაო შემთხვევების ნაწილი სწორედ ავტომობილების გაუმართაობაზე მოდის.

ავტოტრანსპორტის სავალდებულო პერიოდული ტესტირება მოქმედებს ევროკავშირის ყველა წევრ სახელმწიფოში და ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრუ-



## ჰაერის დაბინძურება და ავტოავარიები ავტომობილების ტექნიკურ გაუმართაობასთან პირდაპირ კავშირშია

ლება ამას საქართველოსაც ავალდებულებს. ამ საგანგაშო მონაცემების საპასუხოდ საქართველოს მთავრობა სწორ ნაბიჯებს დგამს.

* * *

პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების რეფორმის შედეგად:

მოხდება საქართველოს თითოეული რეგიონის შესწავლა ტექნიკური ინსპექტირების განმახორციელებელი ცენტრების რაოდენობის განსაზღვრის მიზნით. ყველა რეგიონს მოემსახურება ცენტრების საკმარისი რაოდენობა, რათა ინსპექტირების პროცესი შეუფერხებლად წარიმართოს.

ჩამოყალიბდება ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების შენობა-ნაგებობების, აღჭურვილობისა და ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნები.

დაინერგება ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების პროცესის ერთიანი ცენტრალიზებული მართვის ავტომატიზებული სისტემა, რომელიც სრულად გამორიცხავს შემოწმების პროცესში კორუფციული გარიგების ალბათობას.

შემუშავდება რეკომენდაციები ავტოსატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირებისა და აირბალონით აღჭურვილი ავტომანქანების კონტროლის სისტემების ინტეგრაციის შესახებ.

ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტესტირების პერიოდულობა განისაზღვრება საკონსულტაციო კომპანიასთან შეთანხმების შედეგად (სხვადასხვა ასაკის და ტიპის მანქანებისთვის შეიძლება იყოს სხვადასხვა პერიოდულობა).

პერიოდული ტესტირების ვადა განისაზღვრება საკონსულტაციო კომპანიასთან შეთანხმების შედეგად.

დადგინდება პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ბაზარზე მაქსიმალურად მორგებული კონკურენტული ფასი.

2017 წლის ბოლომდე საქართველოს ყველა რეგიონში პერიოდული ტექნიკური ინსპექტირებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა სრულად იქნება გამართული.

ინსპექტირების ნორმები, კანონით გათვალისწინებული ვადების შესაბამისად, 2018 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება.

წინასწარი გათვლებით, პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების რეფორმაში დაახლოებით 30 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია განხორციელდება.

შესაბამისი ინფრასტრუქტურის ამოქმედება შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს. აღნიშნულ პროცესში 1.000-მდე სპეციალისტი მომზადდება და დასაქმდება.

საქართველო წარმატებით შეასრულებს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ფარგლებში აღებულ ვალდებულებებს, რითიც მოხდება საავტომობილო ტრანსპორტის უსაფრთხოების სფეროში ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედ სტანდარტებთან საქართველოს სტანდარტების ჰარმონიზაცია.

* * *

რეფორმის განხორციელების შემდეგად მოხდება:

ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გაუმართაობით გამოწვეული საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების, ადამიანისა და გარემოსთვის მიყენებული ზიანის მინიმუმამდე დაყვანა.

საავტომობილო მიმოსვლისას მძღოლისა და მგზავრის უსაფრთხოების, აგრეთვე საავტომობილო გზების, საგზაო ნაგებობებისა და ტვირთის დაცულობის გაუმჯობესება.

მთავრობა იწყებს ამ მნიშვნელოვანი რეფორმის ეტაპობრივად გატარებას. ავტოტრანსპორტის სავალდებულო პერიოდული ტესტირების შემოღებითა და სათანადო ინფრასტრუქტურის გამართვით ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ მოგვარდება გაუმართავი ავტოსატრანსპორტო საშუალებების პრობლემა, რაც დადებითად აისახება როგორც ეკოლოგიურ მდგომარეობაზე, ასევე ჩვენი თანამოქალაქეების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე.

* * *

მთავრობის ინიციატივას დადებითად შეხვდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები.

„პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის" გამგეობის თავმჯდომარე გელა კვაშილავა აცხადებს, რომ ავტოსატრანსპორტო ტექნიკური დათვალიერების სავალდებულო შემოწმება უმნიშვნელოვანესია.

– ტექნიკური ინსპექტირების ცენტრები უნდა შეიქმნას რეგიონებში, თბილისში. ეს პროცესი უნდა იყოს ერთიანი, ცენტრალიზებული, მაქსიმალურად გამჭვირვალე, რათა კორუფცია გამოირიცხოს.

მნიშვნელოვანია, რომ ინსპექტირების პროცესის დროს მაქსიმალურად მეტი ინფორმაცია მიეწოდოთ მძღოლებს, – განაცხადა კვაშილავამ.

ქვეყანაში ჰაერის დაბინძურების 70% მოდის ავტოტრანსპორტზე. მეორე პრობლემაა საგზაო უსაფრთხოების საკითხი.

– ჩვენთან სტატისტიკის შეგროვება არ არის ისეთ დონეზე, როგორც სხვა ქვეყნებში. ზოგადად, ავტომანქანების გაუმართაობით 20-30%-მდე ავარიები ხდება, – აღნიშნა კვაშილავამ.

პრაქტიკულად იმავე აზრის არის „საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის" გამგეობის თავმჯდომარე ეკა ლალიაშვილი.

– მისასალმებელი ინიციატივაა. ამის შესახებ განცხადებას მოუთმენლად ველოდით. ავტომობილების 90%-ზე მეტი არის 12 წელს გადაცილებული, რაც საკმაოდ დიდი ასაკია. ეს დიდი საფრთხეა როგორც გამონაბოლქვის, ასევე საგზაო შემთხვევების კუთხით. მომავალში ყურადღებამისაქცევია, რომ ეს სტატისტიკა აღირიცხოს, მაგრამ, ნამდვილად ვიცით, რომ დაბინძურებული ჰაერის 70% მოდის ავტომობილის გამონაბოლქვზე.

მისასალმებელია მთავრობის ინიციატივა. კვლევის თანახმად, მოსახლეობის 76% ამბობს, რომ მათთვის ტექდათვალიერება მისაღებია. ამით შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოსახლეობაშიც პოზიტიური დამოკიდებულებაა, – აღნიშნა ეკა ლალიაშვილმა.

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირში სავალდებულო ტექდათვალიერების შემოღებას აუცილებლად მიიჩნევენ.

კავშირის თავმჯდომარე ვანო მთვრალაშვილი აცხადებს, რომ მთავრობამ აღნიშნულთან დაკავშირებით საწყის ეტაპზე ლიბერალური დამოკიდებულება უნდა გამოიჩინოს.

– ჰაერის დაბინძურება და ავტოავარიები პირდაპირ არის დაკავშირებული ავტომობილების ტექნიკურ გაუმართაობასთან. ეს ტექდათვალიერება ქვეყანას აუცილებლად სჭირდება. მიმდინარე ეტაპზე ბევრი ავტომობილი ნამდვილად ვერ გაივლის ტექდათვალიერებას, თუმცა ჩვენ უნდა ავირჩიოთ პრიორიტეტები.

ჩემი სუბიექტური აზრია, რომ ტექდათვალიერება აუცილებლად უნდა შემოვიდეს, შეიძლება, საწყის ეტაპზე იყოს ლიბერალური მიდგომა, თუმცა მოგვიანებით ეტაპობრივად გამკაცრდეს, – განაცხადა მთვრალაშვილმა.

საინტერესოა საქართველოს საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტ შალვა ოგბაიძის მოსაზრებაც.

– სოციალურ ქსელში უკვე ძალიან დიდი გამოხმაურება გამოიწვია ამ ფაქტმა, მოსახლეობის 90% იწონებს ამ გადაწყვეტილებას. დღეს უკვე შეიძლება ითქვას, რომ ტექდათვალიერების მოთხოვნა არის საზოგადოების დაკვეთა. მე, როგორც ერთი მოქალაქე, გახარებული ვარ ამით.

მიმაჩნია, რომ თუ ჩვენს ქვეყანაში არ დავამკვიდრეთ ცხოვრების ევროპული ნორმები, მაშინ ევროპეიზმი მხოლოდ შენგენის ვიზის მოპოვებაზე დავა. არსებობენ სკეპტიკოსები, რომლებიც ამბობენ, რომ იარსებებს კორუფცია ამაში, თუმცა მიმაჩნია, რომ ქართველმა გემო გაუგო კორუფციის გარეშე ცხოვრებას და ეს აღარ მოხდება.

ტექდათვალიერება არ არის გადასახადი, ეს არის ნაკლები კიბო, ნაკლები სიმსივნური და ონკოლოგიური დაავადება, ეს არის ნაკლები ავარია უმუხრუჭობის გამო ან საჭის გადატანისგან. ტექდათვალიერება არის ინსტრუმენტი, რომლითაც ჩვენი ავტომობილის გამართულობას პერიოდულად შევამოწმებთ, – განაცხადა შალვა ოგბაიძემ.

# ახალმა მემარჯვენეებმა ბურჭულაძის ბლოკი დატოვეს



ახალმა მემარჯვენეებმა პაატა ბურჭულაძის ბლოკი დატოვეს.

ამის შესახებ განცხადება მამუკა კაციტაძემ საზოგადოებრივ მაუწყებელთან გააკეთა. მისი თქმით, ბლოკი შეიქმნა არჩევნებისთვის, არჩევნების დამთავრების შემდეგ კი ბლოკიც დამთავრდა.

– საარჩევნო ბლოკი არის საშუალება, მექანიზმი წინასაარჩევნო პერიოდისა და არჩევნებისთვის დამახასიათებელი. ბლოკი შეიქმნა არჩევნებამდე, ამიტომ არჩევნების დასრულების შემდეგ ბლოკმაც დაასრულა ფუნქციონირება, – განმარტა მამუკა კაციტაძემ.

როგორც ახალი მემარჯვენეების ლიდერმა განაცხადა, პოლიტიკური ბლოკის ფუნქციონირების დასრულება არ ნიშნავს, რომ პარტნიორებთან თანამშრომლობას არ გააგრძელებენ. მამუკა კაციტაძის თქმით, მომავალი არჩევნებისათვის ახალ მემარჯვენეებს მჭიდრო ურთიერთობა ექნებათ სხვა ახალ პარტნიორებთანაც.

**პირველი რადიო**

# საპატრიარქოს დელეგაცია ჯეიმს აპატურაის შეხვდა



საქართველოს საპატრიარქოს ოფიციალური დელეგაცია ბრიუსელს ეწვია. დელეგაციის წევრები ნატოს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ჯეიმს აპატურაის შეხვდნენ.

როგორც შეხვედრის შემდეგ აპატურაიმ აღნიშნა, შეხვედრა კონსტრუქციული იყო.

– საპატრიარქოს დელეგაციასთან შეხვედრა უდიდესი პატივია. ამ სახის ვიზიტი პირველად განხორციელდა. ნატოს გენერალური მდივნის მოადგილე თბილისში პატრიარქს შეხვდა და ეს ვიზიტი ამ შეხვედრის გაგრძელებაა.

სასულიერო პირების დელეგაცია კარგად იყო მიმდინარე მოვლენებზე ინფორმირებული და სიღრმისეული საუბარი შედგა საქართველოს შიდა პოლიტიკურ ვითარებაზე, საქართველოს გამოწვევებსა და იძულებით გადაადგილებულ პირებზე.

ასევე ვისაუბრეთ შავი ზღვის უსაფრთხოებაზე, ნატო-საქართველოს ურთიერთობაზე. ამ შეხვედრიდან ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტია ის, რომ დელეგაცია მხარს უჭერს ხალხის ნებას. საბოლოო ჯამში, ძალიან კონსტრუქციული შეხვედრა იყო, – განაცხადა აპატურაიმ.

**ნიუსპრესი**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# „ლარის გაუფასურება გარდაუვალი იყო“

**2 წელია, ლარის გაუფასურება აქტუალურობას არ კარგავს. კურსმა ლარის ისტორიაში რეკორდულ ნიშნულს, 2.50-ს, მიმდინარე წლის თებერვალში მიაღწია, გაზაფხულზე ლარი მნიშვნელოვნად გამყარდა და 2.13-მდეც კი ჩამოვიდა. თუმცა, ზაფხულში ლარის საშუალო კურსი 2.28 იყო, ხოლო სექტემბრიდან ისევ მნიშვნელოვანი გაუფასურება დაიწყო. 7 ნოემბრისთვის ლარის ოფიციალურმა გაცვლითმა კურსმა 2.44-ს მიაღწია.**



ლარის კურსს სავალუტო ბაზარზე ვაჭრობა აყალიბებს. თუ ქვეყანაში დოლარის მიწოდება დოლარზე მოთხოვნას აღემატება, კურსი მყარდება. თუ მოთხოვნა უფრო მაღალია, კურსი უფასურდება. დოლარის მიწოდებას განსაზღვრავს ის, რამდენი დოლარი შემოდის ქვეყანაში და რამდენია საჭიროება. მეორე მხრივ, დოლარზე მოთხოვნა იზრდება, როდესაც ქვეყანაში ლარის მოცულობა იზრდება.

რა ხდება დღეს, რატომ უფასურდება ლარი ისევ? ამ კითხვას რომ მაქსიმალური სიზუსტით ვუპასუხოთ, ამისთვის საჭიროა, დოლარის შემომავალი და გამავალი ნაკადების შესახებ სრული ინფორმაცია გვქონდეს.

ამ ინფორმაციას მოიცავს ქვეყნის საგადასამხდელო ბალანსი, რომელიც აჯამებს ქვეყნის ყველა სახის საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობას.

ლარის კურსის ცვლილების მიზეზების დროულ განსაზღვრაში პირველ პრობლემას სწორედ საგადასამხდელო ბალანსთან ვაწყდებით, რადგან საქართველოში ის მხოლოდ კვარტალურად ქვეყნდება 3 თვის დაგვიანებით. მაგალითად, რა ხდებოდა წელს ოქტომბერში, ამას გავიგებთ 2017 წლის მარტის ბოლოს და ისიც ოქტომბერს დაჯამებულს ნოემბერთან და დეკემბერთან. შეუძლებელია, ცალკე ერთი თვის მდგომარეობა ვნახოთ. დღეისთვის კი მხოლოდ 2016 წლის პირველი 6 თვის საგადასამხდელო ბალანსია ცნობილი, რომელიც დღევანდელი სიტუაციის ასახსნელად, ფაქტობრივად, არაფერში გვეხმარება.

* * *

დოლარის ნაკადებისგან განსხვავებით, ოპერატიულად ქვეყნდება ინფორმაცია ლარის მოცულობასთან (მასასთან) დაკავშირებით.

ლარის მასა ბოლო 6 თვეში დაახლოებით მილიარდი ლარით (18%-ით) გაიზარდა, რაც მნიშვნელოვანი ზრდაა. ლარის მასის ზრდა განაპირობა იმან, რომ ეროვნულმა ბანკმა აპრილიდან მონეტარული პოლიტიკის შემსუბუქება დაიწყო, რეფინანსირების განაკვეთი (განაკვეთი, რომლითაც კომერციული ბანკები ეროვნული ბანკისგან სესხს იღებენ) 8%-დან 6.5%-მდე შეამცირა. ასევე, შეამცირა ლარში გაცემული სესხების სარეზერვო მოთხოვნა.

ერთი მხრივ, ლარის გაზრდილი მასა ლარის კურსზე უარყოფითად მოქმედებს, მაგრამ მეორე მხრივ, ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის მისი ზრდა აუცილებელია. იმ ფონზე, როდესაც საქართველოს ეკონომიკა იანვარ-სექტემბერში მხოლოდ 2.6%-ით გაიზარდა და პროგნოზირებულ 3%-საც ვერ აღწევს, ბოლო 12 თვის ინფლაცია მინუს 0.2%-ია, ეროვნული ბანკი ლარის მასას ვერ შეამცირებს ლარის კურსის სტაბილურობის მიზნით, თუ ლარის კურსი ისეთ ნიშნულს არ მიაღწევს, რომ ქვეყნის ფინანსურ სტაბილურობას საფრთხე დაემუქრება.

რაც შეეხება დოლარის შემომავალ-გამავალ ნაკადებს, მეორე კვარტლის მონაცემებიდან ცხადი გახდა, რომ გაზაფხულზე ლარი მყარდებოდა, რადგან გაუმჯობესდა პირდაპირი და პორტფელური უცხოური ინვესტიციების ბალანსი და ავიღეთ ახალი საგარეო ვალები. ჯამში, მეორე კვარტალში ქვეყანაში 408 მლნ დოლარით მეტი შემოვიდა, ვიდრე გავიდა. როგორც ჩანს, ეს ტენდენცია არ შენარჩუნდა სექტემბერ-ოქტომბერში.

მიუხედავად იმისა, რომ სექტემბერში საქართველოს ექსპორტი და ფულადი გზავნილები გაიზარდა, ორივეს ჯამური ზრდა მხოლოდ 27 მლნ დოლარამდეა, რაც ლარის გამყარების მიზეზი ვერ გახდებოდა.

უცხოელ ვიზიტორებში გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ზრდა გვაქვს, მაგრამ სეზონური ფაქტორიდან გამომდინარე (ზღვის სეზონი დასრულდა), ოქტომბერში აგვისტოსთან შედარებით საქართველოში 320 ათასით ნაკლები ვიზიტორი შემოვიდა. ეს ნიშნავს, რომ ტურიზმიდან ოქტომბერში დაახლოებით 110 მლნ დოლარით ნაკლები შემოსავალი მივიღეთ, ვიდრე აგვისტოში.

უცხოური ვალუტის მიღების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზაა სახელმწიფოს მიერ აღებული უცხოური გრანტები და კრედიტები. ამ მიმართულებით, იანვარ-სექტემბერში მთავრობამ მოიზიდა დაგეგმილზე დაახლოებით 160 მლნ დოლარით ნაკლები. ვერ მიიღო ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტები და კრედიტები. თუ ამ თანხის მიღებას 2016 წლის ბოლომდე მაინც მოვახერხებთ, ეს მნიშვნელოვნად დაეხმარება ლარს გამყარების მიმართულებით.

იქიდან გამომდინარე, რომ მთავრობამ დაგეგმილი საგარეო დაფინანსება სრულად ვერ მიიღო, თანხის დანაკლისი დაგეგმილზე მეტი საშინაო ვალის აღებით და ნაშთების გამოყენებით დაფარა. ეს კი ლარის მოცულობის ზრდის ერთ-ერთი მიზეზი გახდა, რასაც ლარის კურსზე უარყოფითი გავლენა აქვს.

* * *

ხელისუფლება ლარის კურსის გაუფასურებაში, ტრადიციულად, საგანგაშოს ვერაფერს ხედავს, დროებით მოვლენად მიიჩნევს და აჟიოტაჟსა და მოლოდინებს აბრალებს. არჩევნებამდე პოპულარული იყო წინასაარჩევნო განწყობაზე დაბრალება, მაგრამ ლარი არჩევნების შემდეგ უფრო გაუფასურდა. ასევე, ერთ-ერთი გამართლება იყო თიბისი ბანკის მიერ რესპუბლიკა ბანკის შეძენა და თანხების გადახდა, რაც არ იყო ისეთი მოცულობის თანხა, რომ ეროვნული ბანკის მიერ რეზერვებიდან გაყიდულ 160 მლნ დოლარს ვერ გადაეფარა.

ამ დროს აშკარა იყო, რომ სექტემბრიდან უცხოური ვალუტის შემოსვლა-გასვლის ბალანსი გაუარესდა, ლარის მასა გაიზარდა, ეკონომიკის ზრდა შემცირდა (რაც გარკვეულწილად ლარზე მოთხოვნასა და კურსის სტაბილურობას განაპირობებს) და ლარის გაუფასურება გარდაუვალი იყო. ეროვნულმა ბანკმა კი მთავრობასთან შეთანხმებულად იმოქმედა, გაიზიარა არგუმენტები და წინასაარჩევნოდ, ასე თუ ისე, ლარის სტაბილურობა უზრუნველყო. ეს დაგვიჯდა 160 მლნ დოლარი, ლარი კი მაინც გაუფასურდა.

რამდენზე გაჩერდება ლარის კურსი, ზუსტად არავინ იცის, რადგან ეს უამრავ ფაქტორზეა დამოკიდებული. ამ ფაქტორების სრული კონტროლი და მართვა კი ხელისუფლების შესაძლებლობებს აღემატება.

**ფაქტმეტრი, ბესო ნამჩავაძე**

# ლიანა ჯერვალიძე: „არ მიკვირს, კომპანიები დენის ფასის გაზრდას რომ ითხოვენ“

ნონა ცაბაძე

**არ არის გამორიცხული, რომ ელექტროენერგიაზე ტარიფმა მოიმატოს. ექსპერტები ამ პროცესს ინფლაციას უკავშირებენ, ხოლო პრემიერ-მინისტრი პირობას დებს, რომ დენზე ტარიფი არ მოიმატებს.**

ექსპერტი ენერგეტიკულ საკითხებში ლიანა ჯერვალიძე „ახალ თაობასთან“ საუბარში აცხადებს, არ გაუკვირდება, რომ კომპანიებმა ტარიფის გაზრდა მოითხოვონ, რადგან ლარის გაუფასურებასთან ერთად, ეს კომპანიები რთულ სიტუაციაში ვარდებიან.

***— ანუ ტარიფი მოიმატებს?***

— არა, მე ამას არ ვამბობ. მე ვაცხადებ, რომ არ მიკვირს, ტარიფის მატებას რომ ითხოვენ.

***— პრემიერი აცხადებს, რომ ელექტროენერგიაზე ტარიფი არ მოიმატებს, მაგრამ ზეწოლას ხომ არ ექნება ადგილი ამ კომპანიების მხრიდან, თუკი ისინი არასახარბიელო სიტუაციაში აღმოჩნდნენ?***

— მარეგულირებელმა კომისიამ უნდა დადოს დასკვნა, რა მდგომარეობა აქვთ მათ. აუცილებლად უნდა მოიძებნოს გამოსავალი. იმედია, მივლენ რაიმე დასკვნამდე, თუ რა შემთხვევაში არ შეიძლება შეიცვალოს ტარიფი, თუ ლარის კურსზე ასეთი ზეწოლა გაგრძელდა. ამის რამდენიმე ვარიანტია.

***— კერძოდ?***

— თუ ამ კომპანიებს რაიმე საინვესტიციო ვალდებულებები აქვთ, ეს ვალდებულებები ან გადაუვადონ, ან შეუმცირონ. აქაც მარეგულირებელმა უნდა ჩაიხედოს და მან უნდა დაასკვნას, შესაძლებელი არის თუ არა ეს. აქ შესაძლებელია კიდევ ერთ გამოსავალზე ვისაუბროთ. კერძოდ, სახელმწიფომ განსაზღვროს განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფები და მათ მიმართ განხორციელდეს ტარიფის სუბსიდირება.

***— დანარჩენი საზოგადოება?***

— დანარჩენი საზოგადოება გაგებით უნდა მოეკიდოს ამას.

***— სახელმწიფო ამბობს, რომ ტარიფი არ მოიმატებს და ეს რის ხარჯზე მოხდება?***

— როგორც ჩანს, არის ვარაუდები, თუ როგორ უნდა მოხდეს ლარის კურსის სტაბილიზაცია. იმედს ვიტოვებ, რომ ლარის სტაბილიზაცია მოხდება და რადიკალური გადაწყვეტილებების მიღება მარეგულირებელს არ დასჭირდება.

***— ხომ არ მოიმატებს ტარიფი ბუნებრივ აირზე?***

— სოციალურ გაზს რაც შეეხება, აქ ცვლილებას გამოვრიცხავ. ენერგომატარებლებზე დაბალი ფასი იძლეოდა იმის საშუალებას, რომ აზერბაიჯანული გაზის ფასიც დაცემულიყო, მაგრამ ვინაიდან ამავდროულად ლარის კურსიც დაეცა, ამან შეჭამა ის მოგება, რაც ჩვენ უნდა მიგვეღო საერთაშორისო ბაზარზე ენერგომატარებლებზე ფასების ვარდნით. ამიტომ სოკარი კომერციული სეგმენტისთვის გაზის მიწოდებაში ველარ სარგებლობს საერთაშორისო ბაზარზე ფასების ვარდნით და ტარიფს ვერ აიაფებს.

***— სოკარის გაზი გაცილებით ძვირია, ვიდრე რუსული გაზი. გაზპრომს ვგულისხმობ.***

— კომერციული გაზი სხვა თემაა. ვინაიდან დღეს სოკარი ერთადერთი მომწოდებელია, რა ფასსაც დაადებს, იმ ფასად უნდა იყიდონ კომერციულმა ოპერატორებმა. ჩვენ სხვანაირი ჩარევის საშუალება არ გვაქვს.

***— ხომ არ დადგება ალტერნატიული გაზის შემოსვლის საკითხი ქვეყანაში?***

— ალტერნატივები ჩვენ ძალიან გვჭირდება, მაგრამ რუსული გაზი გეოპოლიტიკური ფაქტორია, აზერბაიჯანში კი გაზის წარმოების ზრდა არ არის მოსალოდნელი 2019 წლამდე. თვითონ სოკარსაც გაუჩნდა შიდა ბაზარზე საკუთარი მოთხოვნილების და ჩვენი მოთხოვნილების დაკმაყოფილების რისკები.



აზერბაიჯანს გაზის ძალიან დიდი რაოდენობა აქვს, მაგრამ ამ ფასის პირობებში ინვესტირების განხორციელება შეუძლებელია.

***— რას გულისხმობთ?***

— როდესაც არ იცი, 2020 წლისთვის როგორი იქნება გაზზე ან ნავთობზე ფასი, სტაბილიზაციის პერსპექტივა არ არის მყარი საერთაშორისო ბაზარზე. ნავთობის კომპანიები ყველგან ამცირებენ თავის ინვესტიციებს.

# წელს სარეკლამო ბიზნესი 20-30%-ით შემცირდა



ქართულმა სარეკლამო ბაზარმა შარშანდელთან შედარებით წელს 20%-ით იკლო.

სარეკლამო კომპანიების წარმომადგენლების თქმით, რეკლამების ბიუჯეტის 60% ტელევიზიაზე მოდის, ხოლო დანარჩენი – სხვადასხვა მედიასაშუალებებზე. მათი განმარტებით, სარეკლამო ბიზნესის შემცირება კომპანიების მიერ რეკლამების ნაწილის შეწყვეტამ გამოიწვია.

სარეკლამო კომპანია „ტვ ინტერნეიშენალის“ დირექტორი გიორგი სულაკაური „კომერსანტთან“ საუბრისას აცხადებს, რომ ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ყველა მსხვილბიუჯეტიანმა ბრენდმა წლის დასაწყისში, დაახლოებით 15-20%-ით შეამცირა რეკლამის წლევანდელი ბიუჯეტი.

თუ ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობა არ გამოსწორდა, ამ ბიზნესში სიტუაციაც ასეთივე დარჩება.

– სარეკლამო ბიზნესის შემცირება კომპანიების მიერ რეკლამების ნაწილის შეწყვეტამ გამოიწვია. სატელევიზიო რეკლამას სწრაფი სესხების კომპანიები კი დაემატა, თუმცა, ჩემი ვარაუდით, ისინი ამ მაჩვენებლის მატებას ვერ გამოიწვევენ, – განაცხადა გიორგი სულაკაურმა.

**ლიკა გურაბანიძე,**
**კომერსანტ.გე**

# ლარი გამყარდა



ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებაში მცირედით გამყარდა.

დღეიდან 1 დოლარის ოფიციალური ფასი 2.4462 ლარი გახდება. კურსი, რომელიც გუშინ მოქმედებდა, 2.4466 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ 0.0004 ლარი შეადგინა.

ეროვნული ვალუტის კურსი ევროსთან მცირედით გამყარდა.

კერძოდ, დღეიდან 1 ევროს შეძენა 2.7031 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ, როცა გუშინ მოქმედი კურსი 2.7081 ლარს შეადგენდა.

შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ ევროსთან მიმართებაში 0.0050 ლარი შეადგინა.

# სემეკის თავმჯდომარე: „ლარის კურსი ტარიფზე გავლენას არ მოახდენს“




ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე ირინა მილორავა მიიჩნევს, რომ ლარის კურსის ცვლილება არ არის იმ შინაარსისა და იმ ხასიათის, რომელსაც შესაძლებელია ტარიფზე გავლენა ჰქონდეს.

ამის შესახებ ირინა მილორავამ თელასის, ენერგო პრო ჯორჯიას, ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის მომავალი წლის ტარიფებთან დაკავშირებით დასმული კითხვის საპასუხოდ განაცხადა.

როგორც მილორავამ განმარტა, ახალი სატარიფო მეთოდოლოგიით გათვალისწინებულია ტარიფების დადგენა ერთი წლით, რაც იმას ნიშნავს, რომ ტარიფების გადახედვა ხდება ყოველწლიურად.

მისივე თქმით, ეს არის ტარიფების გეგმური გადახედვა, ასე მოხდა შარშან, შარშანწინ და ასე იქნება მომავალ წელსაც.

— ტარიფთან დაკავშირებით პროგნოზის გაკეთება შეუძლებელია, ვიდრე ჩვენ ბოლომდე დეტალურად არ ვნახავთ ინფორმაციას, მაგრამ კურსის ცვლილებას აქვს თუ არა, ან შეიძლება თუ არა მას გავლენა ჰქონდეს ტარიფზე, ეს არ არის იმ შინაარსისა და იმ ხასიათის ცვლილება, რომელსაც შესაძლებელია ტარიფზე გავლენა ჰქონდეს, — განაცხადა ქ-მა მილორავამ.

მისივე თქმით, სემეკის საქმე არის გადაწყვეტილების მიღება ტარიფებთან დაკავშირებით და არა — პროგნოზის გაკეთება.

როგორც მილორავამ აღნიშნა, ეს ეხება ყველა სამომხმარებლო ტარიფს, რასაც სემეკი იხილავს.

ენერგეტიკისა და წყალმომარაგების სფეროში მოქმედმა კომპანიებმა სემეკს მომავალი წლის ტარიფის დადგენის მიზნით უკვე მიმართეს. კომისიამ აღნიშნულთან დაკავშირებით საჯარო ადმინისტრაციული წარმოებები დაიწყო.

**ბიპიენი**

# 76 წლის ქალის მკვლელობის საქმეზე ბრალდებულის ადვოკატმა სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა



**თბილისში მომხდარი, 76 წლის ქალის მკვლელობის საქმეზე ერთ-ერთი ბრალდებულის, დათა კვარაცხელიას ადვოკატმა, მისი დაცვის ქვეშ მყოფისთვის შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება გაასაჩივრა.**

კვარაცხელიას ადვოკატი ნიკა სადრაძე სააპელაციო სასამართლოსგან თბილისის საქალაქო სასამართლოს იმ გადაწყვეტილების გაუქმებას მოითხოვს, რომლითაც კვარაცხელიას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

როგორც ინტერპრესნიუსს სადრაძემ განუცხადა, მოსამართლის გადაწყვეტილება ბრალდებულისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდების თაობაზე დაუსაბუთებელი იყო.

– განჩინებაში ყურადღება გამახვილებულია მიმალვის, მოწმეებზე ზემოქმედებისა და მტკიცებულებების განადგურების საფრთხეზე, რაც დაუსაბუთებელია. აღკვეთის ღონისძიების განხილვისას პროკურატურას რაიმე სახის ინფორმაცია ან ფაქტობრივი გარემოება, რომელიც დაადასტურებდა დათა კვარაცხელიას მხრიდან მოწმეებზე ზემოქმედების შესაძლებლობას, არ წარმოუდგენია.

კვარაცხელია საერთოდ არ იცნობს არც ერთ მოწმეს, ისევე, როგორც ისინი არ იცნობენ დათა კვარაცხელიას. ისიც აღსანიშნავია, რომ დათა კვარაცხელიას გამოძიება ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენას ედავება და მუხლი, რომელიც მას აქვს წაყენებული, ასევე სასჯელის სახით ჯარიმას ითვალისწინებს, – განაცხადა ნიკა სადრაძემ.

როგორც ადვოკატმა აღნიშნა, მოსამართლეს ასევე უნდა გაეთვალისწინებინა ის გარემოებაც, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი სუფთა წარსულის მქონეა და არაა ნასამართლევი.

– მკვლელობასთან მას შეხება არ აქვს და პროკურატურის მხრიდან ისიც დასამტკიცებელია, რეალურად იცოდა თუ არა ჩემი დაცვის ქვეშ მყოფმა დანაშაულის შესახებ რამე, – აღნიშნა ადვოკატმა.

# განზრახ მკვლელობაში ბრალდებულს 18 წლით ციხე მიესაჯა



**მცხეთის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და წარსულში განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის ნასამართლევი მამუკა მუხიდინოვი დამნაშავედ ცნო დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის ჩადენაში.**

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2016 წლის 21 მაისს, დაახლოებით 20:00 საათზე, თიანეთის რაიონის სოფელ ჟებოტაში, ნასვამ მდგომარეობაში მყოფ, განზრახ მკვლელობისთვის ნასამართლევ მამუკა მუხიდინოვს თავისივე საცხოვრებელ სახლში, წარსულში არსებული უთანხმოების მიზეზით ურთიერთშელაპარაკება მოუხდა ვეფხვია მათურელთან.

მამუკა მუხიდინოვმა შურისძიების მოტივით, განზრახ მოკვლის მიზნით ვეფხვია მათურელს სანადირო თოფიდან თავის არეში ესროლა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მიღებული ჭრილობის შედეგად ვეფხვია მათურელი ადგილზე დაიღუპა.

სამართალდამცველებმა მამუკა მუხიდინოვი 2016 წლის 22 მაისს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მესამე ნაწილის „ე" ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობა არაერთგზის) წარედგინა.

მცხეთის რაიონულმა სასამართლომ მამუკა მუხიდინოვი სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 18 წლის ვადით.

# ოზურგეთის ერთ-ერთ სკოლაში 3 მოსწავლე მოიწამლა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხაურში სამი მოსწავლე მოიწამლა.

ლიხაურის საჯარო სკოლიდან 3 მეხუთეკლასელი მოსწავლე ინტოქსიკაციის ნიშნებით ოზურგეთის სამედიცინო ცენტრში გუშინ, 8 ნოემბერს, გადაიყვანეს.

მოწამვლის სავარაუდო მიზეზად სკოლის ბუფეტში ნაყიდ ფუნთუშებს ასახელებენ. როგორც ბავშვები ყვებიან, მათ თავი ცუდად ფუნთუშის ჭამის შემდეგ იგრძნეს.

სამედიცინო ცენტრ „მედალფაში" აცხადებენ, რომ ამ დროისთვის ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია და ისინი სამედიცინო დაკვირვების ქვეშ იმყოფებიან.

**თეა იოსელიანი, გურია**

# ზაზა ხატიაშვილი: „ყველას გვახსოვს, რამდენი ადვოკატი იჯდა ციხეში"

– ჩვენ, ადვოკატები, ხშირად ვასოცირდებით ადამიანის უფლებების დაცვასთან.

ამის შესახებ ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილმა პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მხარდაჭერით განახლებული და აღჭურვილი სასწავლო ცენტრის გახსნის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა.

როგორც ზაზა ხატიაშვილმა აღნიშნა, სასწავლო ცენტრში 2017 წლიდან ადვოკატის სკოლა ამოქმედდება, სადაც ადვოკატები გარკვეულ უნარ-ჩვევებს შეისწავლიან, რასაც ისინი უნივერსიტეტებში არ სწავლობენ.

– ადვოკატთა ასოციაციამ ასევე უნდა ვიზრუნოთ ახალი წევრების შემოყვანაზე. ამ ოფისში 2017 წელს გაიხსნება ადვოკატის სკოლა, სადაც ადვოკატის გამოცდაჩაბარებული პირი, ერთწლიან სავალდებულო სტაჟირებას რომ გადის, 3-თვიან თეორიული მომზადების კურსს გაივლის ამ სკოლაში. ადვოკატები აქ ისწავლიან ეთიკას, ჟურნალისტებთან ურთიერთობის ეთიკას, დაკითხვის სპეციფიკას, კოლეგიალობას, – განაცხადა ზაზა ხატიაშვილმა.

მისივე თქმით, ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის განახლებისთვის პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან 280 ათასი ლარი დაიხარჯა.

– ადვოკატთა ასოციაციამ დააფასა პრეზიდენტის განსაკუთრებული როლი ადვოკატის ინსტიტუტის განვითარებაში და პირველად საქართველოს ისტორიაში არაადვოკატ პირს გადასცა ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ორდენი, – აღნიშნა ხატიაშვილმა.

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ ასევე ადვოკატებისთვის საქმიანობის ხელის შეშლის ფაქტებიც გაიხსენა და ამ ვითარებაში ადვოკატების მხარდაჭერის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

– ადვოკატები ხშირად ძალიან ცუდ მდგომარეობაში ვვარდებით, როდესაც ვიცავთ ადვოკატის უფლებებს, მოქალაქის უფლებებს. 1 წლის წინ არასრულწლოვანის უფლებების დაცვისთვის ადვოკატი გიორგი მდინარაძე ხელბორკილებდადებული აწამეს პოლიციის განყოფილებაში. ყველას გვახსოვს, რამდენი ადვოკატი იჯდა ციხეში იმისთვის, რომ იგი იცავდა კლიენტს. აქედან გამომდინარე, როდესაც



ადვოკატთა ასოციაციას სხვადასხვა ინსტიტუტი მხარს უჭერს, ეს ძალიან მნიშვნელოვანია, – განაცხადა ზაზა ხატიაშვილმა.

# სახალხო დამცველი ფინანსთა სამინისტროს განცხადებას პასუხობს

საქართველოს სახალხო დამცველი ფინანსთა სამინისტროს განცხადებას ეხმაურება.

როგორც სახალხო დამცველის განცხადებაშია ნათქვამი, საქართველოს სახალხო დამცველმა მოქალაქე შ.კ.-ს გამოკითხვის, ამ პირის დაკავებისა და სამედიცინო დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას, რომ დაწყებულიყო გამოძიება სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე.

სამედიცინო დოკუმენტების მიხედვით კი, მოქალაქე შ.კ.-ს, ჯანმრთელობის სხვა დაზიანებებთან ერთად, აღენიშნება ცხვირის მოტეხილობა, ტვინის შერყევა და სხვა.

– სახალხო დამცველის მიერ ჩატარებული შესწავლის შედეგები არ გამორიცხავს ფინანსთა სამინისტროს მიერ გავრცელებული განცხადების შინაარსს, მათ შორის მოქალაქე შ.კ.-ს მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენის ფაქტს, თუმცა საქართველოს მთავარი პროკურატურისათვის სახალხო დამცველის მიმართვის საფუძველი და მიზანი არის დროული, სრულყოფილი და ობიექტური გამოძიების ჩატარება, – ნათქვამია განცხადებაში.

საქართველოს სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ შეახსენებს საზოგადოებს და მათ შორის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, რომ სახალხო დამცველის



უფლებამოსილება არ არის სისხლის სამართლის გამოძიების ჩატარება.

ზემოთ აღწერილი ფაქტობრივი გარემოებები იძლევა საფუძველს საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ გამოძიების დასაწყებად – თუკი დაკავებულს აღენიშნება დაზიანებები, ობიექტურმა და სრულყოფილმა გამოძიებამ უნდა დაადგინოს, ხომ არ ჰქონდა ადგილი სამართალდამცავთა მხრიდან არასათანადო მოპყრობას ან/და დაკავებისას გადამეტებული ან/და არაპროპორციული ძალის გამოყენებას.




– მხოლოდ ობიექტური გამოძიებაა სახელმწიფოს მიერ ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით ნაკისრი პოზიტიური ვალდებულების შესრულება, – ნათქვამია სახალხო დამცველის განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა 7 ნოემბერს გაავრცელა განცხადება, რომ სახალხო დამცველის განცხადება ფინანსური პოლიციის თანამშრომელთა მიერ სავარაუდო დანაშაულის ჩადენის შესახებ ცალმხრივია, არ ასახავს მომხდარი ფაქტის რეალურ გარემოებას და საზოგადოება შეჰყავს შეცდომაში.

# ომბუდსმენმა ყვარელში გოგონების გენიტალიების სავარაუდო დასახიჩრების ფაქტების მოკვლევა დაიწყო

სახალხო დამცველის აპარატი ყვარლის რაიონში გოგონების სავარაუდო წინდაცვეთის შემთხვევებს სწავლობს.

ამის შესახებ ნიუპოსტს სახალხო დამცველის მოადგილემ განუცხადა.

ეკა სხილაძის ინფორმაციით, ომბუდსმენის წარმომადგენლები რაიონში იმყოფებოდნენ და ადგილობრივებს გაესაუბრნენ.

– სახალხო დამცველის აპარატმა თავისი ინიციატივით დაიწყო შესწავლა, სავარაუდოდ, ქალის გენიტალიების დასახიჩრების ფაქტებთან დაკავშირებით. ჩვენი წარმომადგენლის მიერ განხორციელდა ვიზიტი აღნიშნულ რეგიონში, შეხვედრა გაიმართა ადგილობრივ მოსახლეობასთან, თუმცა საქმე შესწავლის პროცესშია და კონკრეტული ფაქტობრივი გარემოება არ გვაქვს, რაზეც შეგვიძლია ვისაუბროთ.

უახლოეს პერიოდში სახალხო დამცველის აპარატი დაასრულებს საქმის შესწავლას და მოსახლეობისთვის ცნობილი გახდება ჩვენი შესწავლის შედეგების შესახებ, – განუცხადა ნიუპოსტს სხილაძემ.



# ცხინვალის რეჟიმმა საქართველოს 6 მოქალაქე გაათავისუფლა

ცხინვალის მესაზღვრეებმა 5 და 6 ნოემბერს ადმინისტრაციული საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ფაქტზე საქართველოს 6 მოქალაქე დააკავეს.

სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, დაკავებულები არიან: გორის რაიონის სოფელ დიცის მცხოვრები, 1965 წელს დაბადებული პაატა გიორგის ძე მძინარაშვილი, 1990 წელს დაბადებული გიორგი გრიგორის ძე აბულაძე, 1959 წელს დაბადებული ელგუჯა ავთანდილის ძე გელაშვილი, 1990 წელს დაბადებული გიორგი მილერის ძე კილაძე, ასევე ხაშურის რაიონის სოფელ წაღვლის მცხოვრები, 1964 წელს დაბადებული თამაზ ვახტანგის ძე კილაძე და 1966 წელს დაბადებული შოთა ავთანდილის ძე გელაშვილი.



მარიონეტული რეჟიმის ცნობით, ჯარიმის გადახდის შემდეგ ყველა მათგანი „საქართველოში გააძევეს".

**ინტერპრესნიუსი**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# მონტენეგროში გადატრიალება მზადდებოდა



მონტენეგროს გენერალურმა პროკურორმა კატნიჩმა განაცხადა, რომ დაკავებული არიან სერბი და რუსი ფაშისტები, რომლებიც მონტენეგროს პრემიერ ჯუკანოვიჩის ლიკვიდაციას და კანონიერად არჩეული ხელისუფლების დამხობას აპირებდნენ.

— სერბი და რუსი მოქალაქეები, რომლებიც ჩვენი პრემიერის მოკვლას ცდილობდნენ, დონბასში სეპარატისტების მხარეს იბრძოდნენ. ისინი მკვეთრი ანტიდასავლური, პოზიციით გამოირჩევიან, — ამბობს კატნიჩი.

მან განაცხადა, რომ არ გააჩნია მტკიცება ამ აქციასთან რუსეთის ხელისუფლების კავშირის შესახებ. ამავე დროს, ცხადია ისიც, რომ პირებს, რომლებიც დონბასში იბრძვიან, ფსბ ან გრუ აკონტროლებს.

— ეს ხალხი რუსული სპეცსამსახურების კრეატურას წარმოადგენს, ეს უეჭველია, მაგრამ რამდენად იყო რუსეთის ხელისუფლება ინფორმირებული მათი ყველა განზრახვის შესახებ, ამისი თქმა არ შემიძლია, — თქვა კატნიჩმა.

მონტენეგროს მთავარმა პრორუსულმა ძალამ, დემოკრატიულმა ფრონტმა, პროკურორის ბრალდებები უარყო. მათ განაცხადეს, რომ არავითარი გადატრიალება არ იგეგმებოდა.

— ესაა ხელისუფლების მიერ შემოგდებული პროვოკაცია, — ნათქვამია განცხადებაში.

რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწე პესკოვმა განაცხადა, რომ რუსეთის ხელისუფლებას მონტენეგროში გადატრიალების მცდელობასთან კავშირი არ გააჩნია.

— ჩვენ საერთოდ ყოველგვარი პუტჩებისა და შეთქმულებების წინააღმდეგნი ვართ, — ამბობს პესკოვი.

# დანიელ ორტეგა მესამე ვადით აირჩიეს



ნიკარაგუის პრეზიდენტი დანიელ ორტეგა თავის პოსტზე მესამე ვადით აირჩიეს. აღსანიშნავია, რომ სწორედ ორტეგას მმართველობისას ნიკარაგუამ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა.

ოპოზიცია აცხადებს, რომ არჩევნები უხეში დარღვევით ჩატარდა. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში ნათქვამია, რომ არჩევნებისას ოპოზიციონერთა უფლებები შეილახა. თავად ნიკარაგუელები თვლიან, რომ ყოფილმა მარქსისტმა ორტეგამ ქვეყანაში ავტორიტარული რეჟიმი დაამყარა. არჩევნებიც ფორმალურ ხასიათს ატარებდა.

# ზიმბაბვეში ნიანგი სასტუმროს ბინადარს დაესხა თავს

ზიმბაბვეს ქალაქ ხარიბას სასტუმროს დამსვენებლებს თავს ნიანგი დაესხათ. მომხდარის ამსახველი ვიდეოჩანაწერი სათვალთვალო კამერებმა გადაიღეს. ის იუთუბიში იქნა განთავსებული და 1,7 მილიონზე მეტმა ადამიანმა ნახა.



ინტერნეტში გამოქვეყნებულ კადრებში ჩანს, თუ როგორ მიიპარა შეუმჩნევლად აუზთან ცხოველი, სადაც ქალი და მამაკაცი ბანაობდნენ. ის აუზში ჩავიდა და ტურისტებს თავს დაესხა. ახალგაზრდა მამაკაცი აუზის ნაპირთან იმყოფებოდა და სწრაფად ამოვიდა ნაპირზე. ქალს ამის გაკეთებაში ხელი მტაცებელმა შეუშალა და მან აუზის მეორე ბოლოსკენ გაცურა. ამ მომენტში აუზთან სასტუმროს კიდევ ერთი ბინადარი გაჩნდა, რომელიც ქალს წყლიდან ამოსვლაში დაეხმარა, ხოლო რეპტილია დააფრთხო.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ნიანგმა ქალისთვის ხელზე კბენა მოასწრო, მაგრამ აღნიშნული ჭრილობა ქალის სიცოცხლისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს. როდესაც ადამიანები აუზს განერიდნენ, ნიანგი იქ მარტო დარჩა, ხოლო მისი შემდგომი ბედი უცნობია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: ალმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

# 7 ნოემბერი მოსკოვში



რუსეთის ხელისუფლებამ 7 ნოემბერი რუსული დიდების დღედ გამოაცხადა.

მოსკოვში 1941 წლის 7 ნოემბრის პარადი გაიხსენეს. წითელ მოედანზე ჩატარდა სამხედრო პარადი, რომლის წევრებსაც ისევე ეცვათ, როგორც 1941 წლის სამხედრო პარადის მონაწილეებს.

აღლუმში სამხედრო სასწავლებლების 5.000-მდე კურსანტი მონაწილეობდა.

პარადის შემდეგ აჩვენეს დოკუმენტური ფილმი „ბრძოლა მოსკოვისათვის,“ სადაც 1941 წლის მოსკოვისათვის ბრძოლაა აღწერილი.

# გერმანია მზად არის, ყველა პოლიტიკურ ოპოზიციონერს თურქეთიდან თავშესაფარი მისცეს



გერმანია მზად არის, ყველა პოლიტიკურ ოპოზიციონერს თურქეთიდან თავშესაფარი მისცეს.

ამის შესახებ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში სახელმწიფო მინისტრმა ევროპის საკითხებში მიხაელ როტმა გამოცემა „დი ველტ“-ისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

— გერმანია მსოფლიოსთვის ღია ქვეყანაა, ის ღიაა პოლიტიკური დევნის შედეგად ყველა დაზარალებულისთვისაც, — განაცხადა მინისტრმა.

მისი თქმით, გერმანიის მთავრობა თურქ დისიდენტებს სოლიდარობას უცხადებს.

თურქეთში ოპოზიციის წარმომადგენელთა დაკავების სერია გრძელდება. 5 ნოემბერს სტამბოლის სასამართლომ ოპოზიციური გამოცემა გუმჰურიეტის მთავარი რედაქტორის, მურატ საბუნჯუს და გამოცემის სხვა ხელმძღვანელების და ჟურნალისტების დაპატიმრების ორდერი გასცა.

გარდა ამისა, გასულ კვირას, ანტიტერორისტული ღონისძიებების ფარგლებში, თურქეთში ოპოზიციური პროქურთული პარტიის 12 დეპუტატი დააკავეს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ამერიკელმა მეორედ მოიგო მილიონი ლატარიაში



ამერიკის მინესოტას შტატის მცხოვრებმა ლატარიაში გოფერ 5 874 ათას დოლარზე მეტი მოიგო. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად კი, ეს მისი მეორე მსხვილი მოგებაა ბოლო ორი წლის მანძილზე.

ქალაქ პლიმუტის 46 წლის მცხოვრები ენტონი ფუსარო მინესოტას შტატში გამართულ ლატარიის ყველაზე დიდი ჯეკპოტის მფლობელი გახდა. მან ექვსი ნომერი გამოიცნო, რომელიც გათამაშების დროს ამოვიდა და ის ამის შედეგად 874.766 დოლარს მიიღებს.

აღსანიშნავია, რომ 2015 წლის ივნისში ფუსარომ ლატარიაში მეგა მილიონი ხუთი გამოცნობილი ნომრისთვის მილიონი დოლარი მიიღო. მამაკაცი განმეორებით მოგებას, „წმინდა წყლის იღბლიანობით“ ხსნის. ამავე დროს მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ყოველთვის სჯეროდა, რომ ეს კიდევ ერთხელ მოხდებოდა და ლატარიებში მონაწილეობაზე უარის თქმას არც მომავალში აპირებს.

# ყველაზე გრძელი ბრიტანელი კატა გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა



ბრიტანული კატა, სახელად ლიუდო, გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ის მსოფლიოში ყველაზე გრძელ შინაურ კატად აღიარეს.

ლიუდოს სიგრძე ცხვირის წვერიდან კუდის ბოლომდე 119 სანტიმეტრს შეადგენს. ის სულ ოთხი სანტიმეტრით ჩამორჩება ადრინდელ რეკორდსმენს, კატას სახელად სტიუარტ ჰილინგტონს, რომელიც 2013 წელს მოკვდა. მისი სიგრძე 123 სანტიმეტრს შეადგენდა. ისევე, როგორც ლიუდო, ისიც ამერიკული ჯიშის მეინკუნის წარმომადგენელი იყო.

მსოფლიოს ყველაზე გრძელი კატა ბრიტანეთის ქალაქ უიკფილდში ცხოვრობს და მისი პატრონის თქმით, სიზარმაცით გამოირჩევა. გარდა ამისა, უჩვეულო სიგრძე მას მოუქნელს ხდის. ის ჩვეულებრივ კატებისთვის განკუთვნილ გალიაში არ ეტევა და ამიტომ ყოველთვის ძაღლების გალიით გადაჰყავთ.

კატის პატრონის მტკიცებით, მას მეინკუნის ჯიშის კატა მაშინ მოეწონა, როდესაც ჰარი პოტერზე ფილმს უყურებდა, მეინ-კუნის ჯიშის კატა ფილმის ერთ-ერთ პერსონაჟს წარმოადგენს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

● სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 250 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

**მკურნალობა**

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით .

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● უცხოეთში კვალიფიცირებული ექიმი-პედიატრი, გთავაზობთ სხვადასხვა სახის, ზოგადი პროფილის, ასევე ყველა ასაკის ბავშვთა მასაჟს. ვმუშაობ სხეულის კორექციაზეც ვაკუუმ-მასაჟის მეთოდით. მსურველებს, საჭირო კურსის ჩატარების შემდეგ, ექნებათ ლიპოსაქციის ეფექტი. 599 48-66-39.

# მოჭიდავეთა საევროპო შემადგენლობა ცნობილია




18-19 ნოემბერს რუმინეთის დედაქალაქი ბუქარესტი ევროპის ერთა თასს უმასპინძლებს, ზუსტად ერთ კვირაში კი, 24-26 ნოემბერს, ბაქოში ჰეიდარ ალიევის ოქროს გრანპრის ფინალური ეტაპი გაიმართება.

საქართველოს თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით ნაკრებები აღნიშნული შეჯიბრებებისათვის ბორჯომში 10-დღიან შეკრებას გაივლიან.

ევროპის ერთა თასზე მონაწილეობის უფლება ევროპის ჩემპიონატზე ნაჩვენები შედეგის მიხედვით თითოეულ სტილში 6-მა საუკეთესო ნაკრებმა მოიპოვა. რიგაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს თავისუფალი სტილით ნაკრებმა გუნდური პირველი ადგილი მოიპოვა და ბუქარესტში ლიდერის რანგში გაემგზავრება.

დავით პოღოსიანისა და არჩილ ქიტიაშვილის გუნდის შემადგენლობა ასეთია: ბექა ბუჯიაშვილი, ოთარ გოგავა (57 კგ), ვლადიმერ ხინჩეგაშვილი, ბექა ლომთაძე (61), ზურაბ იაკობაშვილი, კონსტანტინე ხაბალაშვილი )65), დავით ტლაშაძე (70), იაკობ მაქარაშვილი, ზურაბ ერბოწონაშვილი (74), სანდრო ამინაშვილი, ირაკლი მწითური (86), ელიზბარ ოდიკაძე (97), გენო პეტრიაშვილი, გიორგი მეშვილდიშვილი (125).

ბუქარესტში წამსვლელთა ვინაობას ბერძნულ-რომაული ნაკრების თავკაცები მოგვიანებით დაასახელებენ.

ბაქოს ფინალურ გრანპრიზე მონაწილეობა კვოტირებულია – იქ მხოლოდ ევროპის, მსოფლიოს ან ოლიმპიადის მედალოსნებს იწვევენ, თუმცა ლიცენზირებული სპორტსმენის შეცვლა შეიძლება. ჩვენმა თავისუფალთა ნაკრებმა კი 8 ლიცენზიიდან 7 მოიპოვა, მაგალითად, ხინჩეგაშვილმა ორ წონაში მოიპოვა ბაქოს საგზური – 57-ში ოლიმპიურ თამაშებზე, 61-ში – ევროპის ჩემპიონატზე, თუმცა, რადგან ერთი კვირით ადრე ბუქარესტში ჭიდაობს, აზერბაიჯანში აღარ იასპარეზებს, 57-ში მას ოთარ გოგავა შეცვლის, 61-ში კი – გიორგი რევაზიშვილი.

ამავე მიზეზით ბაქოში დავით ტლაშაძე (70) და იაკობ მაქარაშვილიც (74) არ გამოვლენ. მათ ნაცვლად დიმიტრი ბასიაშვილი (70) და ავთანდილ კენჭაძე (74) იასპარეზებენ. ლიცენზიის მომპოვებელთაგან მხოლოდ 3 იჭიდავებს ბაქოში – ევროპის ორგზის ჩემპიონი, მსოფლიოსა და ოლიმპიური მედალოსანი დავით მარსაგიშვილი (86), ევროპის ბრინჯაოს პრიზიორი ელიზბარ ოდიკაძე (97) და ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოსა და ოლიმპიადის მესამე პრიზიორი გენო პეტრიაშვილი (125).

ბერძნულ-რომაული ნაკრებიდან კი ბაქოში ევროპის ჩემპიონი ზურაბ დათუნაშვილი (75), ევროპის ვიცეჩემპიონი რობერტ კობლიაშვილი (85) და ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედალოსანი შმაგი ბოლქვაძე (66) იასპარეზებენ.

# მორაგბეთა ნაკრები ნოემბრის ტესტებისთვის ახალი მწვრთნელებით ემზადება

12 და 19 ნოემბერს თბილისში საქართველოს მორაგბეთა ნაკრები იაპონიასა და სამოას მასპინძლობს, ხოლო 26-ში შოტლანდიას კილმარნოკში ესტუმრება.

ნოემბრის ტესტების პირველ მატჩამდე საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა გოჩა სვანიძემ, ბორჯღალოსნების მთავარმა მწვრთნელმა მილტონ ჰეიგმა და მისმა ასისტენტმა ლევან მაისაშვილმა შევარდენის სანაკრებო ბაზაზე გამართულ პრესკონფერენციაზე საზოგადოებას სამწვრთნელო შტაბის 2 ახალი წევრი წარუდგინა. ორივე ავსტრალიელია – შერკინების მწვრთნელი ბრედ ჰარისი და ხაზის კონსლუტანტი, ცნობილი სპეციალისტი რიჩარდ გრემი, რომელიც ბორჯღალოსნებისთვის ნაცნობი კი არის, რადგან ოკეანეთის ტურნეშიც ეხმარებოდა, მაგრამ საქართველოში პირველად ჩამოვიდა.

გარდა უშუალო მოვალეობისა, ორივე სპეციალისტი ჩაერთვება საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებებისა და სარაგბო აკადემიის საქმიანობაში.




**საქართველოს ნაკრების 30-კაციანი შემადგენლობა ასეთია:**

**უკანა ხაზი**: მერაბ კვირიკაშვილი (ლელო სარასენსი), ბექა წიკლაური (ლოკომოტივი), სანდრო თოდუა (ლელო სარასენსი), გიორგი აფციაური (ლოკომოტივი), ანზორ სიჭინავა (აკადემია), დავით კაჭარავა (ენისეი, რუსეთი), მერაბ შარიქაძე (ორიაკი, საფრანგეთი), თამაზ მჭედლიძე (აჟენი, საფრანგეთი), გიორგი კოშაძე (ხარები), ლაშა მალაღურაძე (კრასნი იარი, რუსეთი), ლაშა ხმალაძე (ლელო სარასენსი), გიორგი ბეგაძე (ყოჩები), ვასილ ლობჟანიძე (ბრივი, საფრანგეთი);

**წინა ხაზი, შერკინება:** მიხეილ ნარიაშვილი (მონპელიე, საფრანგეთი), ზურაბ ჟვანია (სტად ფრანსე, საფრანგეთი), ვასილ კაკოვინი (ტულუზა, საფრანგეთი), ჯაბა ბრეგვაძე (ვუსთერი, ინგლისი), ბადრი ალხაზიშვილი (ტულონი, საფრანგეთი), დუდუ ქუბრიაშვილი (მონპელიე, საფრანგეთი), ლევან ჩილაჩავა (ტულონი, საფრანგეთი), კახა ასიეშვილი (ბრივი, საფრანგეთი), გიორგი ნემსაძე (ბრისთოლი, ინგლისი), კოტე მიქაუტაძე (მონპელიე, საფრანგეთი), ნოდარ ჭეიშვილი (ლელო სარასენსი), მამუკა გორგოძე (ტულონი, საფრანგეთი), შალვა სუთიაშვილი (ანგულემი, საფრანგეთი), ვიტო კოლელიშვილი (კლერმონი, საფრანგეთი), გიორგი თხილაიშვილი (ბათუმი), ლაშა ლომიძე (ბეზიე, საფრანგეთი), ბექა ბიწაძე (შონბრი, საფრანგეთი).

**რეზერვი:** გიორგი ფრუიძე (ბაგრატი), ვაჟა ხუციშვილი (ლოკომოტივი), გიორგი ჩხაიძე (დომონი, საფრანგეთი), საბა შუბითიძე (აკადემია), ბექა გორგაძე (მონ დე მარსანი, საფრანგეთი).

# ქართველი კალათბურთელები ყველგან იგებენ

## საკალათბურთო ლეგიონის ამბები




ნბას რეგულარული სეზონის მორიგი შეხვედრა გამართა ზაზა ფაჩულიას გოლდენ სტეიტმა, რომელმაც ნიუ ორლეანი 116:106 დაამარცხა.

ზაზა ფაჩულია სასტარტო ხუთეულში იყო, თუმცა მატჩში მხოლოდ 11 წუთი ითამაშა. ამ დროში ჩვენებურმა 2 ქულა, 1 მოხსნა და 1 შედეგიანი პასი გააკეთა.

შეხვედრის საუკეთესო მოთამაშე გუნდის ერთ-ერთი ლიდერი სტეფ კარი იყო, რომელმაც ნბას ახალი რეკორდი მოხსნა. კარიმ შეხვედრაში 17-დან 13 სამქულიანი ჩააგდო, საერთო ჯამში კი 46 ქულა, 5 მოხსნა და 5 შედეგიანი პასი დაუგროვდა.

ესპანეთის საკალათბურთო უმაღლეს ლიგაში თორნიკე შენგელიას ბასკონიამ მორიგ ტურში მანრესას უმასპინძლა და 82:69 იმარჯვა. სარგებლიანობის კოეფიციენტით ქართველი ფორვარდი მატჩი საუკეთესო იყო, მთლიანად ტურში კი სამ საუკეთესოთა შორის მოხვდა.

შენგელია სასტარო ხუთეულში იყო და 25 წუთში 13 ქულა, 6 მოხსნა და 1 დაფარება მიითვალა. თოკომ 1 ორქულიანი, 2-დან 1 სამქულიანი და 8-ვე საჯარიმო ზუსტად სტყორცნა.

ბასკონიამ 5 მოგება და 2 მარცხი მოაგროვა და სატურნირო ცხრილში მე-3 ადგილზეა, მომდევნო შეხვედრას კი 13 ნოემბერს გამართავს, როდესაც ტურის ცენტრალურ მატჩში ვალენსიას ესტუმრება.

ესპანეთის ჩემპიონატშივე მორიგი გამარჯვება მოიპოვა ქართველი ლეგიონერების – გიორგი შერმადინისა და ბექა ბურჯანაძის ანდორამ, რაშიც საქართველოს ნაკრების წევრთა წილი უდიდესია. ანდორელებმა მურსიას უმასპინძლეს და 16 ქულით – 88:72 დაამარცხეს.

ორივე ქართველმა გამორჩეულად ითამაშა, შერმადინი კი მატჩის საუკეთესო მოთამაშე გახდა. ქართველმა ცენტრმა სასტარტო ხუთეულში ითამაშა და მოედანზე არასრული 25 წუთი გაატარა. შერმადინმა 10-დან 6 ორქულიანი და 6-დან 4 საჯარიმო ჩააგდო. 16 ქულასთან ერთად მან 7 მოხსნა, 2 ჩაჭრა და 2 დაფარება მოაგროვა.

ბურჯანაძის მონაგარი 14 ქულა, 3 მოხსნა და 1 პასია. ბექა სასტარტოში არ ყოფილა, მოედანზე კი 18 წუთით გამოჩნდა და 5-დან 3 ორქულიანი, 2-დან 1 სამიანი და 7-დან 5 საჯარიმო ჩააგდო.

6 მატჩიდან 4 გამარჯვებით ანდორა ცხრილში 5-7 ადგილებს იყოფს. მომდევნო მატჩი ანდორელებს 13 ნოემბერს სტუმრად მანრესასთან ელის.

რუსეთის სუპერლიგა 1-ში მორიგი გამარჯვება მოიპოვა აკაკი დვალიშვილის ნოვოსიბირსკმა. ამჯერად ნოვოსიბირსკელები მოსკოვის რეგიონის გუნდ ხიმკი-პოდმოსკოვიეს ესტუმრნენ და ძალიან იოლად – 85:50 იმარჯვეს.

ქართველი ფორვარდი საკმაოდ შედეგიანად გაისარჯა. დვალიშვილი თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაება და მოედანზე გატარებულ 14 წუთში 10 ქულა, 2 მოხსნა და 1 დაფარება მიითვალა. აკაკიმ 8-დან 5 ორქულიანი ჩააგდო.

6 მოგებითა და 1 წაგებით ნოვოსიბირსკი მე-2 ადგილზეა და მომდევნო მატჩს 10 ნოემბერს ერევანში ურარტუსთან გამართავს.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# რუმენიგე სანაკრებო მატჩებს აპროტესტებს



მოახლოვდა სანაკრებო მატჩები და მიუნხენის ბაიერნის აღმასრულებელი დირექტორი კარლ-ჰაინც რუმენიგე მიიჩნევს, რომ ეროვნული გუნდების თამაშების შემდეგ კლუბები ზარალდებიან.

რუმენიგემ გაიხსენა ბუნდესლიგის მე-7 ტურში ბაიერნ-ფრანკფურტის მატჩის შედეგი, რომელიც ფრედ დასრულდა.

მაშინ ფრანკფურტთან პირველ ტაიმში რობერტ ლევანდოვსკის გარეშე მოუხდა თამაში რეკორდმაისტერს, მატჩში ვერ მიიღო მონაწილეობა ასევე ჩილელმა ნახევარმცველმა არტურო ვიდალმა. რუმენიგეს თქმით, ეროვნული ნაკრების თამაშებიდან ორივე არასათანადო ფორმაში დაბრუნდა.

**კარლ-ჰაინც რუმენიგე:**

– ეს ის პრობლემაა, რომელსაც ყოველთვის ვაწყდებით ეროვნული ნაკრებების მხრიდან. ფეხბურთელები არასათანადო ფორმით ბრუნდებიან კლუბებში, ჩვენ უნდა განვიხილოთ, თუ რა როლს თამაშობს ეროვნული ნაკრები მსოფლიო ფეხბურთში. რა თქმა უნდა, ტრავმირებულები 5 თუ 6 გვყავდა, მაგრამ ჩვენი გუნდი ღრმა და მაღალი ხარისხის ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული და თავის გამართლება არ უნდა გვჭირდებოდეს. ეს ასე არ უნდა ხდებოდეს, ეს მიუღებელია. სხვა განწყობით უნდა გადიოდე მინდორზე.

# ინტერის ახალი მწვრთნელი სტეფანო პიოლია



მილანის ინტერის ახალი მწვრთნელის ვინაობა ცნობილია. ამ პოსტს სტეფანო პიოლი დაიკავებს, რომელიც შარშან რომის ლაციოს თავკაცი იყო.

ინტერის ხელმძღვანელობას უცხოელი მწვრთნელის პოვნა სურდა, მაგრამ საბოლოოდ არჩევანი მაინც იტალიელ სპეციალისტზე შეაჩერა.

პიოლი კონტრაქტს სეზონის ბოლომდე გააფორმებს და, თუ კარგი შედეგი აჩვენა, მასთან უფრო ხანგრძლივ ხელშეკრულებას მოაწერენ ხელს.

ინტერმა სეზონი ძალიან ცუდად დაიწყო და ამჟამად მილანური კლუბი იტალიის ჩემპიონატის სატურნირო ცხრილის შუაგულში იმყოფება.

მომავალ შეხვედრას ინტერი თავის მოსისხლე მტერ მილანთან ჩაატარებს.

მატჩი 20 ნოემბერს გაიმართება.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# რენს მარტინ ედეგორის შეძენა სურს

ფრანგულ რენს მადრიდის რეალის ნორვეგიელი ტალანტის მარტინ ედეგორის იჯარის სახით შეძენა სურს.

ედეგორი ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ ახალგაზრდა ფეხბურთელად ითვლება, მაგრამ ასაკის გამო ის რეალის დუბლებში თამაშობს, ამიტომ მისი იჯარით სხვა გუნდში გადასვლა სავსებით რეალურია.




ედეგორი 17 წლის არის და მას სათამაშო პრაქტიკა სჭირდება იმისთვის, რომ განვითარდეს, როგორც ფეხბურთელი.

რეალის მწვრთნელმა ზინედინ ზიდანმა განაცხადა, რომ ის ედეგორის გაყიდვას არ აპირებს, თუმცა იჯარით მისი დროებით გაშვება შესაძლებელია.

მიუხედავად თინეიჯერული ასაკისა, მარტინ ედეგორი უკვე ნორვეგიის ნაკრებში თამაშობს.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*



# რა შემთხვევაშია მიზანშეწონილი ფარისებრი ჯირკვლის გამოკვლევა

**ფარისებრი ჯირკვალი შინაგანი სეკრეციის ჯირკვალია, რომელიც ნივთიერებათა ცვლას არეგულირებს და ზემოქმედებას ახდენს ორგანოებისა და ქსოვილების ფუნქციონირებაზე.**

**ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები მსოფლიო მოსახლეობის დაახლოებით 2%-ს აღენიშნება. ჩვენს ქვეყანაში ეს მაჩვენებელი გაცილებით მაღალია, რადგან საქართველო იოდდეფიციტის ენდემურ ზონადაა მიჩნეული.**

**როგორია იოდის ოპტიმალური დღეღამური ნორმა, რა ჩივილების შემთხვევაშია მიზანშეწონილი ფარისებრი ჯირკვლის გამოკვლევა, როგორ შეიძლება იოდდეფიციტის პროფილაქტიკა?**

**ამ თემებზე ქირურგიის ეროვნული ცენტრის ენდოკრინოლოგი ანა ჭოხონელიძე გვესაუბრა.**

ეკა ირემაშვილი



*— რა ფუნქცია აკისრია ფარისებრ ჯირკვალს?*

— ფარისებრი ჯირკვალი შინაგანი სეკრეციის ჯირკვალია. ის არეგულირებს ნივთიერებათა ცვლას და ზემოქმედებას ახდენს ორგანოებისა და ქსოვილების ფუნქციონირებაზე, კერძოდ: ნერვული, გულ-სისხლძარღვთა, ძვალ-კუნთოვანი სისტემების, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის, ტემპერატურული რეაქციის, სასქესო ორგანოების განვითარებასა და რეგულაციაზე.

*— რამდენად ხშირია ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები?*

— დადგენილია, რომ ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები აღენიშნება მსოფლიო მოსახლეობის დაახლოებით 2%-ს. საქართველოში ეს მაჩვენებელი გაცილებით მაღალია, ვინაიდან ჩვენი ქვეყანა მიჩნეულია იოდდეფიციტის ენდემურ ზონად. ფარისებრი ჯირკვლის ნორმალური ფუნქციონირებისთვის იოდი შეუცვლელი მიკროელემენტია.

*— როგორია იოდის ოპტიმალური დღეღამური ნორმა და როგორ შეიძლება იოდდეფიციტის პროფილაქტიკა?*

— იოდის დღეღამური ნორმა სხვადასხვა ასაკისთვის განსხვავებულია: 2-დან 6 წლამდე 90 მკგ. 7-12 წლამდე – 120 მკგ. 12 წლიდან – 150 მკგ. ორსულობისა და ლაქტაციის, ძუძუთი კვების პერიოდში – 200 მკგ. იოდდეფიციტის პროფილაქტიკა კი იწყება მუცლადყოფნის პერიოდიდან.

იოდით მდიდარია ზღვის პროდუქტები. ენდემურ ზონებში, მათ შორის, ჩვენს ქვეყანაშიც გამოიყენება იოდირებული მარილი. საჭიროების შემთხვევაში, ექიმის გადაწყვეტილებით, საკვებს ემატება იოდი მედიკამენტის სახით.

*— რა რისკფაქტორები არსებობს ფარისებრი ჯირკვლის დაავადებების განვითარებისთვის?*

— დიდი მნიშვნელობა აქვს გენეტიკურ წინასწარ განწყობას, გარემო ფაქტორებს. ესენია იოდდეფიციტი, არასრულფასოვანი კვება, ულტრაიისფერი სხივების ჭარბი ზემოქმედება, იგივე რუჯი, თამბაქოს მოხმარება, ჭარბი წონა, დასხივება კისრის არეში, სხვადასხვა მედიკამენტის მიღება. რაც შეეხება სქესს, დადგენილია, რომ ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები ქალებს უფრო ხშირად უვითარდებათ, ვიდრე მამაკაცებს.

*— რა ჩივილების შემთხვევაშია მიზანშეწონილი ფარისებრი ჯირკვლის გამოკვლევა?*



— ფარისებრი ჯირკვლის ჰიპერფუნქციას ახასიათებს გულის აჩქარება, არტერიული წნევის ციფრების ცვლილება, წონის კლება, სიცხის აუტანლობა, ზოგჯერ, ზღვრულად მომატებული სხეულის ტემპერატურა, აგზნებადობა, კუნთებში სისუსტე, „შინაგანი კანკალი", სახსრების ტკივილი, დიარეა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, უნაყოფობა.

ფარისებრი ჯირკვლის ჰიპოფუნქციას ახასიათებს საერთო სისუსტე, ძილიანობა, კანის სიმშრალე, ფრჩხილების მტვრევადობა, მეხსიერების დაქვეითება, ზოგადი შეშუპება, წონის მატება, ზოგჯერ ხმის ტემბრის ცვლილება, ყაბზობა, სმენის დაქვეითება, სახსრების ტკივილი, სასქესო ორგანოების დისფუნქცია, უნაყოფობა.

ფარისებრი ჯირკვლის ზომაში გადიდებას, ჩიყვს, ახასიათებს ყელში ზეწოლის შეგრძნება, ყლაპვის გაძნელება, ყელის ვიზუალური დეფორმაცია და,თუ თან ახლავს ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დარღვევა, ამას ემატება ზემოთ აღნიშნული ჩივილები.

შესაძლოა, ფარისებრი ჯირკვლის დაავადება უსიმპტომოდ მიმდინარეობდეს, თუ ჯირკვალი ზომაში გადიდებული არ არის და მისი ფუნქცია ნორმაშია, მაგალითად, კვანძოვანი ჩიყვი, რომელიც ხშირად შემთხვევითი გამოკვლევით დიაგნოსტირდება.

*— რა უპირატესობა აქვს თანამედროვე ტექნოლოგიებს ფარისებრი ჯირკვლის გამოკვლევისას?*

— ფარისებრი ჯირკვლის ექოსკოპია არის კვლევის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მეთოდი მისი ზომებისა და იმ სტრუქტურული ცვლილებების გამოსავლენად, რომლებიც გვხვდება ფარისებრი ჯირკვლის სხვადასხვა პათოლოგიის დროს. კვლევის შედეგად, დიაგნოსტირებული კვანძის შეფასება ხდება ერთობლივად ექიმ ენდოკრინოლოგისა და რადიოლოგის მიერ.

საეჭვო კვანძის დიაგნოსტიკის შემდეგ ეტაპად მიჩნეულია წვრილნემსიანი ასპირაციული ბიოფსია, რათა უჯრედულ დონეზე დადგინდეს, ავთვისებიანია თუ არა წარმონაქმნი. ბიოფსია ბევრი პაციენტისთვის არასასიამოვნო პროცედურაა. ხშირად გაურბიან მას და წლების განმავლობაში მოსალოდნელი საფრთხის მოლოდინში ცხოვრობენ.

წინა წლებში ზემოთ აღნიშნული მეთოდის ჩვენება ძალიან ფართო იყო, ვინაიდან ექოლოგიურად საეჭვო და უწყინარი კვანძების ზუსტი დიფერენცირება ვერ ხერხდებოდა, თანამედროვე ტექნოლოგიები კი ამის საშუალებას იძლევა.

კერძოდ, ელასტოგრაფია ექოლოგიურად განსაზღვრავს წარმონაქმნის სიმკვრივეს. ელასტოგრაფიის რეჟიმს სიმკვრივის შესაფასებლად სპეციალური სკალაც აქვს. მისი მეშვეობით აპარატს შეუძლია, ქსოვილის სიმკვრივის რიცხობრივი ანალიზი გააკეთოს. ხდება ორი საკონტროლო სივრცის აღება, ერთი ინტაქტურ რბილ ქსოვილზე, ხოლო მეორე – საეჭვო უბანზე. აპარატი გვიჩვენებს ელასტიკურობის კოეფიციენტს მითითებულ უბნებში. შედარებით მაღალი კოეფიციენტის მქონე უბანი უფრო საეჭვოდ მიიჩნევა და რეკომენდებულია მისი ბიოფსია.

ელასტოგრაფიის რეჟიმი თავად ბიოფსიის პროცესშიც გვეხმარება და საშუალებას გვაძლევს, კონკრეტული კვანძის ყველაზე მკვრივი, პროგნოზულად სახიფათო უბანი დავაფიქსიროთ და ქსოვილი გამოსაკვლევად იქიდან ავიღოთ. ამით ცრუ პოზიტიური თუ ცრუ ნეგატიური შედეგი გამოირიცხება.

*— რა მეთოდით მკურნალობთ ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიებს ქირურგიის ეროვნულ ცენტრში?*

— საჭიროების შემთხვევაში, ინიშნება მედიკამენტური მკურნალობა. აუცილებლობის დროს ტარდება მაღალკვალიფიციური ქირურგიული მკურნალობა. მიმდინარეობს პაციენტის მუდმივი მონიტორინგი პრე და პოსტოპერაციულ პერიოდში.

## ამერიკელი რეპერი სტრიპ-კლუბში მაიმუნთან ერთად მივიდა



ამერიკელი რეპერი მელი მოლი სტრიპ-კლუბში პატარა მაიმუნთან ერთად მივიდა, რომელიც მხარზე ეჯდა. მუსიკოსი არაბი შეიხის კოსტიუმში იყო გამოწყობილი და ცხოველიც ამის ხაზგასასმელად ჰყავდა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ლოსანჯელესის ჯანდაცვის დეპარტამენტი მომხდარის გამოძიებას დაიწყებს, ვინაიდან უსაფრთხოების დაცვის წესებიდან გამომდინარე, დაწესებულებაში სტუმრებს ცხოველების მიყვანა ეკრძალებათ.

რეპერის სტრიპ-კლუბში მაიმუნთან ერთად სტუმრობის ამსახველი ვიდეორგოლი, სოციალურ ქსელ ინსტაგრამში მუსიკოსის გვერდზე იქნა განთავსებული. რეპერის აკაუნტს ინსტაგრამში 852 ათასზე მეტი ხელმომწერი ჰყავს.

## გაქცეულმა ძროხამ ქალაქი ააწრიალა

გაქცეული ძროხა, რომელიც ინგლისის ქალაქ დარკინგის ქუჩებში დასეირნობდა, ლონდონისკენ მიმავალ ტრასაზე საცობების წარმოქმნის მიზეზად იქცა.

მსხვილი რქოსანი პირუტყვი ახლოს მდებარე საძოვრიდან გამოიქცა, ქალაქში შეაღწია და გზის მანქანების სავალ ნაწილზე დასეირნობდა.



— ამბობენ, რომ ძროხა ერთ-ერთ მანქანას შეახტა და დააზიანა, მაგრამ, როდესაც მე მივედი, ის სრულიად მშვიდად იდგა, — განაცხადა ადგილობრივმა მცხოვრებმა.

შემთხვევის ადგილზე მისულ პოლიციელებს ძროხა ერთი სახლის მდებარე გაზონზე დახვდათ. ის სრულიად აუღელვებლად ძოვდა ბალახს. იმისთვის, რომ არ გაქცეულიყო, ცხოველს გზა მანქანითა და ფიცრებით ჩაუხერგეს. დანაკარგის შესახებ მის პატრონს აცნობეს, რომელიც მალევე მივიდა ადგილზე და ძროხა წაიყვანა.

როგორც გაირკვა, ძროხა, სახელად რიკა, ჰაილენდურ ჯიშს განეკუთვნება, რომლებიც დიდი ზომითა და გრძელი ბეწვით გამოირჩევიან.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი
### 9 ნოემბრისათვის



**ვერძი** – საოჯახო პრობლემები სრულად ჩაგითრევთ. აკონტროლეთ შემოსავალ-გასავალი. გამოიყენეთ მეგობრების გამოცდილება. **კურო** – მიენდეთ ახლობლებს. ეცადეთ, მოსალოდნელი კონფლიქტი თავიდან აიცილოთ. ჯანმრთელობაზე იზრუნეთ. **ტყუპები** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. თუ ქალაქგარეთ გასვლა მოგიხდათ, სიფრთხილე გამოიჩინეთ. **კირჩხიბი** – გუნება-განწყობა გეცვლებათ. აქტიურობთ, თუმცა შინაგანად დაძაბული ხართ. **ლომი** – ზედმეტი მიამიტობა შეცდომების დაშვების მიზეზად იქცევა. ყურადღებით იყავით საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობისას. **ქალწული** – საკუთარ თავში დარწმუნებული ხართ, მაგრამ ეს არ გაძლევთ იმის საფუძველს, რომ თქვენი შესაძლებლობები გადაჭარბებულად შეაფასოთ. **სასწორი** – წინააღმდეგობები შეგხვდებათ. გარშემომყოფებთან დაძაბული ურთიერთობა გექმნებათ. **ღრიანკალი** – იღბლიანი დღეა. დაწყებულ საქმეს წარმატებით დაამთავრებთ. პირად ცხოვრებაშიც გიმართლებთ. **მშვილდოსანი** – ყურადღების ცენტრში ხართ. ყოველმხრივ კეთილისმყოფელი დღეა. ზომიერება დაიცავით. **თხის რქა** – გეგმების განხორციელებაში ხელი არ გეშლებათ. მოსალოდნელია აზრთა სხვადასხვაობა ხელმძღვანელ პირებთან. **მერწყული** – მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად მშვენიერი პერიოდია. მოვლენების დაჩქარება სასურველი არ არის. **თევზები** – სიტუაციაში გარკვევა გიჭირთ. ოდნავ დაბნეული ხართ. საღამოს რომანტიკული შეხვედრაა მოსალოდნელი.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. მწვანე ფერის ციტრუსოვანი მცენარე; 2. საჭმელი სოკო; 3. სარკაზმული პუბლიცისტური ნაწარმოები; 4. ლუდის მწარმოებელი ირლანდიური ფირმა; 6. ფოტოჟურნალისტთა მეტსახელი; 8. დიდებულთა მემკვიდრეობითი წოდება ესპანეთში; 11. ებრაული სამლოცველო; 12. ჰაერის გაუხშოებული მდგომარეობა ჭურჭელში; 16. პატარა საცხოვრებელი სახლი ჩინეთში; 17. მუსლიმანური კალენდარი; 18. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა.

**თარაზულად**: 1. მარგალიტის ყელსაბამის ძველი ქართული სახელწოდება; 5. რაიმეს მიმდინარეობის განხორციელების სისწრაფე; 7. ნბა-ში მოთამაშე ქართველი კალათბურთელი; 9. ხეხილის ბაღი; 10. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი; 13. ძვლის მსგავსი ნივთიერება, კბილის მთავარი შემადგენელი ნაწილი; 14. დამოუკიდებელ ფერმერთა გაერთიანების დასახლება ისრაელში; 15. ესპანელი სიურეალისტი მხატვარი; 19. უნგრული წვნიანი კერძი; 20. თეთრყურძნოვანი ვაზის გერმანული ჯიში; 21. მარტივი უმოტორო საფრენი აპარატი; 22. ქართული ხალხური შრომის სიმღერა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. წირქოლი; 2. კრევეტი; 3. პიკადელი; 4. პუდელი; 5. შლიმანი; 8. პაუპერი; 9. მარჩვიბი; 12. ტრავერსი; 13. ბეიძინი; 16. სხვიტორი; 17. მარაზმი; 19. ოკრიბა; 20. ბუზუკი.

**თარაზულად:** 6. ქიმერიონი; 7. ჰიმალაი; 8. პიარნუ; 10. ზოსტერა; 11. დაბა; 14. კვესტურა; 15. ყარაყუმი; 18. ახმეტა; 21. კონკური; 22. ბურჟე; 23. არაგვი; 24. კისინჯერი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ყოჩები; 2. ბატატი; 3. სატელიტი; 4. ანდორა; 6. ბაბილონი; 8. ეგეოსი; 11. ქობულაძე; 12. კონუნგი; 16. იალტა; 17. კიოტო; 18. პუდრი.

**თარაზულად:** 1. ყაზბეგი; 5. ბოდბე; 7. კანკანი; 9. ემბარგო; 10. სონლული; 13. სკოტები; 14. როდენი; 15. გოია; 19. ლუმბაგო; 20. დინდგელი; 21. ბანდეროლი; 22. ბემოლი.

# როგორ ასაქმებენ ცოლებსა და შვილებს საკუთარ სამინისტროებში

**„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ 70-მდე შემთხვევა გამოავლინა, როდესაც თანამდებობებზე დანიშვნის შემდეგ მათი ოჯახის წევრები დასაქმდნენ საჯარო სამსახურებში. ეს შემთხვევები ორგანიზაციამ ქონებრივი დეკლარაციების შესწავლის შედეგად აღმოაჩინა.**

2016 წლის დეკლარაციის მიხედვით, ლევან ხარატიშვილი 2013 წლიდან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილეა, ხოლო მისი ცოლი, ირინე ბაღდადიშვილი, სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტია.

2015 წლის დეკლარაციის მიხედვით, გიორგი შარაბიძე 2014 წლიდან საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო მისი ცოლი ანა შეყრილაძე ცენტრალური საარჩევნო კომისიის შტატგარეშე მოსამსახურეა.

2014 წლის დეკლარაციის მიხედვით, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალურ საკითხთა და პროგრამების სამმართველოს უფროსის, ამირან დათეშიძის ცოლი თამარ პაპავა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის შტატგარეშე თანამშრომელი გახდა, როდესაც ამირან დათეშიძე სოციალურ საკითხთა და პროგრამების სამმართველოს უფროსი და პროგრამების მონიტორინგის სამმართველოს უფროსის მ/შ იყო.

2016 წლის დეკლარაციით, იმერეთის გუბერნატორის, გიორგი ჭიღვარიას ცოლი თამთა ფოფხაძე ააიპ – ქ. ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების ადმინისტრაციის უფროსის პოზიციაზე მუშაობს. მანამდე მას იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციაში ეკავა მთავარი სპეციალისტის თანამდებობა.

2015 წლის დეკლარაციის მიხედვით, კახეთის გუბერნატორის, ზურაბ არსენიშვილის ცოლი ლელა ბერიაშვილი ააიპ თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის დირექტორის თანამდებობაზე დაინიშნა.

2015 წლის დეკლარაციის მიხედვით, სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებლის – გოჩა დგებუაძის ცოლი ლალი ნადარია ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მედ. სტატისტიკოსია.

2015 წლის დეკლარაციის მიხედვით, გურჯაანის გამგებლის მოადგილის დიმიტრი კალატოზიშვილის ცოლი ნანა რამაზაშვილი გურჯაანის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსად დაინიშნა.

2015 წლის დეკლარაციით, ოზურგეთის გამგებლის მოადგილის გიორგი ღურჯუმელიძის ცოლი ნათელა ზედგინიძე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე ინიშნება.

2016 წლის დეკლარაციის მიხედვით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ფრაქცია „ქართული ოცნება – თავისუფალი დემოკრატების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ ხუციშვილის ცოლი მაკა გიგოლაშვილი დედოფლისწყაროს გამგეობაში იურიდიული სამსახურის მთავარი სპეციალისტის პოსტზე მუშაობს.

2016 წლის დეკლარაციის მიხედვით, სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულო – ფრაქცია „ქართული ოცნება – კონსერვატორების“ თავმჯდომარის როსტომ თორღაშვილის ცოლი ოლია მოლაშვილი ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრში პროგრამის ოპერატორია.

2015 წლის დეკლარაციის მიხედვით, ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ზურაბ ჩხეიძის ცოლი ლალი ავაზაშვილი ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის სამსახურის მთავარი სპეციალისტია.

2016 წლის დეკლარაციის მიხედვით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ნუგზარ პაპიაშვილის ცოლი ციური ზურაბაშვილი ამავე გამგეობაში სპეციალისტის პოზიციაზე დაინიშნა.

2015 წლის დეკლარაციით, ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის პაატა ჩაგანავას ცოლი ეკატერინე თოფურია ა(ა)იპ ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის ტურიზმის და სოციალური კვლევის ცენტრის განყოფილების უფროსი ხდება.

2015 წლის დეკლარაციით, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ზაურ ჩართოლანის ცოლი ეკა უშხვანი ა(ა)იპ მესტიის სპორტის ცენტრის სამთო და ზამთრის სპორტის სახეობების სექტორის ხელმძღვანელია.

2015 წლის დეკლარაციით, ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის სერგო ლობჟანიძის ცოლი რუსუდან რეხვიაშვილი ონის მუნიციპალიტეტის ააიპ კულტურულ საგანმანათლებლო ურთიერთობების ცენტრში სპეციალისტის პოზიციაზე მუშაობს.

❖ ❖ ❖

2016 წლის დეკლარაციის მიხედვით, სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილის ჯუმბერ აბულაძის შვილი ჯაბა აბულაძე სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს ბუღალტრის თანაშემწეა.

2016 წლის დეკლარაციის მიხედვით, ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის, სულიკო სურმანიძის შვილი გიორგი სურმანიძე ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობაში ბიუჯეტის დაგეგმვისა და ფორმირების განყოფილების უფროსია.

2016 წელს დეკლარაციით, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის სტეფან ეზოიანის შვილი სატენიკ ეზოიანი იმავე გამგეობაში უფრო სპეციალისტი ხდება.

2015 წლის დეკლარაციით, თბილისის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის გულიკო ზუმბაძის შვილი ნინო ნოლაშვილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შტატგარეშე მოსამსახურეა.

2016 წლის დეკლარაციით, გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის ლიანა ჩლაჩიძის შვილი გიორგი ჩლაჩიძე ა(ა)იპ გორის გამგეობის კეთილმოწყობის სამსახურის სპეციალისტია.

❖ ❖ ❖

– ბუნებრივია, ქვემოთ წარმოდგენილი შემთხვევები აუცილებლად არ გულისხმობს, რომ საჯარო სამსახურში დასაქმება კონკურსის წესის გვერდის ავლით ან მისი დარღვევით მოხდა და მიზნად არ ისახავს კონკრეტული პირების პროფესიონალიზმისა და კეთილსინდისიერების ეჭვქვეშ დაყენებას. თუმცა საქართველოში არსებული ანტიკორუფციული კანონმდებლობის აღსრულების ხარვეზების გათვალისწინებით, ასეთი შემთხვევების სიმრავლე მიუთითებს სისტემური პრობლემის არსებობასა და მასზე ეფექტური რეაგირების საჭიროებაზე.

ამავე დროს, კვლევა ემყარება მხოლოდ თანამდებობის პირების მიერ ქონებრივ დეკლარაციებში მითითებულ მონაცემებს და, ამდენად, პრობლემის სრულ მასშტაბს ვერ ასახავს, – აცხადებენ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოში“.

საჯარო სამსახურში ნეპოტიზმის პრობლემასთან გასამკლავებლად „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ერთ-ერთი ძირითადი რეკომენდაციაა, შეიქმნას დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სააგენტო, რომელიც სათანადო უფლებამოსილებებით, რესურსებით იქნება აღჭურვილი და დაცული იქნება პოლიტიკური გავლენისგან.

**ნეტგაზეთი**

# მიხეილ სხვიტარიძე სიცოცხლისთვის იბრძვის



16 წლის მიხეილ სხვიტარიძე სიცოცხლისთვის იბრძვის. ის ფართო საზოგადოებამ მას შემდეგ გაიცნო, რაც რუსეთში მოღვაწე უკრაინელმა მსახიობმა სტანისლავ ბონდარენკომ მის დასახმარებლად საქართველოში ჩამოსვლა და საქველმოქმედო კონცერტებსა და სპექტაკლებში მონაწილეობა გადაწყვიტა.

ბონდარენკოს საქართველოში ჩამოსვლამდე მიხეილის გადასარჩენად „იმედის გმირი“, მწერალი და ჟურნალისტი ანა ლაშხელი-ონიანი უკვე 3 წელია იბრძვის. მეგობრებთან, ნაცნობებთან თუ სრულიად უცნობ ადამიანებთან ერთად ანა ცდილობს, მიხეილის სასიცოცხლოს მნიშვნელოვანი ოპერაციისთვის საჭირო თანხა მოაგროვოს.

**ანა ლაშხელი-ონიანი:**

– 3 წელია, ამ ბიჭის გადარჩენას ვცდილობ ჩემს მეგობრებთან, ახლობლებთან, უცნობებთან თუ ნაცნობებთან...

ბევრი სიკეთის ხელი დავინახე... ბევრი კეთილი გული. ბევრი ნდობა და უნდობლობაც. სანაცვლოდ წინ მივდიოდით და 27 ათასი დოლარით ისევ ერთ ადგილზე ვდგავართ... ბავშვს კიდევ 44 ათასი დოლარი სჭირდება, რომ ისრაელში გავუშვათ და მისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ოპერაცია გაუკეთდეს.

ახლა მოგმართავ შენ, საქართველოს მთავრობავ, პრეზიდენტო, მეცენატო, ბიზნესმენო...

რა გაგიხდათ ამ ბავშვის წამება 3 წელი. ხომ შეიძლება, სოციალურად დაუცველ ობოლ ბავშვს დაეხმაროთ და სიცოცხლე აჩუქოთ. განა ეს არ არის თქვენი პირდაპირი მოვალეობა? თუ ასეთი უსუსური და პრიმიტიულია ეს სახელმწიფო, რომ ბავშვებს სასიკვდილოდ ვიმეტებთ და ვერ ვშველით, რა ნატოზე გვაქვს მაშინ პრეტენზია?

საინფორმაციო პორტალებს კი გთხოვთ, ყველა ჩემი მოთხრობის ნაცვლად, გააზიარეთ ეს მიმართვა...

ძალიან სჭირდება ამ ბავშვს დახმარება. სიცოცხლე სჭირდება...

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# კენგურუს სახლი ბორბლებზე მოეწონა

მრავალშვილიან ოჯახს, რომელიც ავსტრალიაში ბორბლებიანი სახლით მოგზაურობს, დიდი ძალისხმევა დასჭირდა იმისთვის, რათა მათ მანქანაში შესული კენგურუ გარეთ გამოეძევებინათ.

ბორბლებიანი სახლის მფლობელებმა ფეისბუქში საკუთარ გვერდზე დაწერეს, რომ კენგურუ მათ ბინაში კარიდან შეხტა, როდესაც ავტოსადგომზე გაჩერდნენ და ბავშვებს დასაძინებლად ამზადებდნენ.

– ის მეტად მშვიდად, მეგობრულად იქცეოდა, მაგრამ წასვლა არ უნდოდა, – დაწერა საკუთარ გვერდზე ოჯახის უფროსმა.

იუთუბიზე განთავსებული ვიდეოჩანაწერის მიხედვით, ადამიანები ცხოველში შიშს არ იწვევდნენ. ის ყურადღებას არ აქცევდა ოჯახური წყვილის ძახილს და საქმიანად ყნოსავდა ავეჯს.

ოჯახის უფროსი შეეცადა კენგურუ გარეთ გამოეყვანა, მაგრამ ბოლო მომენტში ის ისევ უკან შებრუნდა და ისევ იქაურობის თვალიერება და ყნოსვა გააგრძელა.

– ის აბაზანის მიღებას აპირებს, – იხუმრა ოჯახის დიასახლისმა, რომელიც შემთხვევას მობილური ტელეფონით იღებდა.

მამაკაცმა დაუპატიჟებელი სტუმრის ყურადღების მიქცევა ვაშლით სცადა, მაგრამ ცხოველმა მას ყურადღება არ მიაქცია. თუმცა საბოლოოდ მათ მაინც მოახერხეს კენგურუს მანქანიდან გამოყვანა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# სამგლოვიარო განცხადებები

ქ.სოხუმის შოთა რუსთაველის სახელობის პირველი საშუალო სკოლის მე-10ბ კლასის 1966 წლის კურსდამთავრებულები თანაუგრძნობენ ნანული სურმავას დედის

**თამარ თოფურია-სურმავას**

გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# რუსთაველის იუბილე ერმიტაჟში აღინიშნება



„რუსთაველის ეპოქა ერმიტაჟში“ – ასე ეწოდება საღამოს, რომელიც საქართველოს უდიდესი პოეტის შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილეს ეძღვნება.

13 ნოემბერს ერმიტაჟის თეატრში, ქალაქ პეტერბურგში, ერმიტაჟის ორგანიზებით ჩატარდება საგანგებო ფესტივალი, რომელიც მიეძღვნება უდიდესი ქართველი პოეტის შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილეს.

„რუსთაველის ეპოქა ერმიტაჟში“ – შეხედულებები ქართული კულტურული მემკვიდრეობის შესახებ დღევანდელი გადმოსახედიდან – ასეთია ფესტივალის ორგანიზატორთა კონცეფცია.

საღამო გაიხსნება მისასალმებელი სიტყვით, რომლითაც სახელმწიფო ერმიტაჟის გენერალური დირექტორი მიმართავს შეკრებილ საზოგადოებას, ასევე განხორციელდება ტელეჩართვა თბილისიდან, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრიდან, რომელშიც წამყვანი სპეციალისტები ისაუბრებენ და წარმოადგენენ ცენტრში დაცულ უძველეს ხელნაწერებს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## პროგრამა

ოთხშაბათი
9 ნოემბერი

06.00 ტ/სერ. "**ფრანკლინი და ბეში**" 07.00 დ/ფ "ლურჯი სამყაროს საოცრებანი" 08.00"მხიარული ფერმა" 08.40"ტელემანი" 09.00"მოამბე დილას" 10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00 "მოამბე" 10.10"პირადი ექიმი" 11.00, 19.00 ტ/სერ. "**ტრიუმფი**" 12.20 მხ/ფ "**ოქტომბრის ცა**" 14.00 ტ/სერ. "**ფრანკლინი და ბეში**" 15.00, 02.00 "X სტუდია" 16.30"ეკონომეტრი" 17.00 "რეალური სივრცე" 21.00 ტ/სერ. "**შურისძიება**" 22.00"მთავარი" - თამარ ჩიქოვანთან ერთად 23.00 ტ/სერ. "**ამერიკელები**" 00.00 მხ/ფ "**8 მილი**"

08.00, 14.00 დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" 09.00, 17.00 დ/ფ "სტივენ ჰოკინგის დიდდებული ჩანაფიქრი" 10.00 "გეოფაქტორი" 10.15 დ/ფ "როდესაც მეფეები ვიყავით" 12.00 ტ/სერ. "**მეამბოხე მიწა**" 13.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 15.00, 18.00 "ბრიფინგის დრო" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" 21.00 "არგუმენტების დრო" 22.00 01.00 ტ/სერ. "**ლოს ანჯელესის პოლიცია**" 23.00 "მოამბე" (3 ენაზე) 00.30 "ნამდვილი დრო"

06.30, 16.00 სერ. "**თანხმობა**" 07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.35 ქრონიკა 07.35, 08.15, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**ერთი სიყვარულის ამბავი**" 11.20 სერ. "**სიყვარულის ჟამი**" 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. "**ფიცი**" 17.35 სერ. "**პატარძალი**" 18.50, 19.03 სერ. "**ღირსების სახელით**" 20.55 სერ. "**შავი ვარდი**" 22.00 ეკა ხოფერიას თოქ შოუ 23.30 სერ. "**პეროკრატია** (9+1)" 00.30 მხ/ფ "**გამდიდრდი ან მოკვდი**" 02.50 მხ/ფ "**დაგვიანებული საჩუქარი**"

06.00 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 06.45 სერ. "**გაბრიელა**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. "**წითელი და შავი**" 15.55 სერ. "**ინდური საგა**" 16.55 სერ. "**ცხოვრების გზები**" 18.50 სერ. "**ოქროს გალია**" 19.55, 20.05 სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" 22.00 სერ. "**ხელოვნური სუნთქვა**" 23.00 ნანუკას შოუ 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი

06.15 დროის ჩანაწერები 07.00 მართლმადიდებლური კატეხიზმო 07.30 ჩვენი ფონდი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.30 დ/ფ "ნარკომანია-თავისუფლება თუ მონობა" 11.05 ერთხელ ბავშვობაში 11.30 მგზავრები წუთისოფლისა 12.10 ღია აუდიტორია 12.30 ერთიანი მშვიდობიანი კავკასია 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 გამოყენებითი ხელოვნება "ფერწერა ბუმბულით" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.10 ქართ. ან/ფ 15.30 დ/ფ "მსოფლიო საგანძური" 15.45 დ/ფ "მსოფლიო საგანძური" 16.00 კონცერტი 16.45 დ/ფ "ყველაფერი ქორეოგრაფიაზე" 17.30 ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები 18.10 "განთიადის" სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "**წკიპურტები**" 20.40 ძილი ნებისა "ჩხიკვთა ქორწილი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ღვთის სახლი 21.35 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 დეკორატიული ფლორა "შრომატე სანგუანა ტრიქოლოგი" 00.25 ისტორიის დღიური 01.00 დ/ფ "რევაზ თვარაძე" 01.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.30 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) 8.00 სერ. "**კარმელიტა**" 10.00, 13.30, 1.30 სერ. "**ცენტრალური საავადმყოფო**" 11.00 პოლიტ თოქ-შოუ "ცეცხლის ხაზი" (08.11.16) 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 23.30 "ბიზნეს კონტაქტი" 14.30, 1.00 სერ. "**ორი გული**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 სერ. "**სიყვარულის იმპერია**" 16.00 სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 18.50 სერ. "**გაზაფხულზე იბადება სიყვარული**" 19.55 "დამზადებულია საქართველოში" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.55 სერ. "**გემი**" 22.40 სერ. "**ესკობარი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**9 ნოემბრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.4466

ევრო — 2.7081

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0387

100 რუსული რუბლი — 3.8342

## ამინდის პროგნოზი 9 ნოემბრისთვის





# 8 ნოემბრიდან

**მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები**

## დევიდ ლოურენსი
## ლედი ჩეთერლის საყვარელი




ამ რომანმა გამოსვლისთანავე დიდი სკანდალი გამოიწვია.

მწერლის სამშობლოში, დიდ ბრიტანეთში, 1930 წელს უკვე დაბეჭდილი წიგნების მთელი ტირაჟი გაანადგურეს.

აკრძალვა 1960 წლამდე მოქმედებდა, ვიდრე გახმაურებული სასამართლო პროცესის შემდეგ ამ რომანმა მთლიანად არ აღიდგინა თავისი უფლებები.

წიგნში აღწერილია სიყვარულის კლასიკური სამკუთხედი: ახალგაზრდა ლამაზი ქალი, ინვალიდი ქმარი და მოუხეშავი ტყის მცველი.

დევიდ ლოურენსის ეს წიგნი მსოფლიოს საუკეთესო ნაწარმოებების რიცხვშია და მისდამი ინტერესი დღემდე არ განელებულა.

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**


# იუმორი



ორი ნაცნობი საუბრობს, ერთი მეორეს ეკითხება:

– რას საქმიანობ?

– ლანდშაფტის დიზაინით ვარ დაკავებული.

– საინტერესოდ ჟღერს, და ეგ რა არის?

– ბულდოზერზე ვმუშაობ...

•••

პაციენტი ექიმს მიმართავს:

– ექიმო!!! ა-ა-ა!!! რა მაქვს?

– ღმერთო ჩემო, რა გაქვთ?!

•••

ორი მეგობარი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– რა სამწუხაროა, არ არსებობს, რომ გოგონა ერთდროულად ლამაზიც იყოს და ჭკვიანიც.

– ჰო, ჩვეულებრივ თუ ლამაზია, უჭკუოა, ხოლო თუ ჭკვიანია, მახინჯია...

– კი მაგრამ, გამონაკლისებიც ხომ არსებობს.

– როგორ არა, მახინჯი სულელები.

•••

რეჟისორი დრამატურგს ეუბნება:

– თქვენი პიესა წავიკითხე, მაგრამ მის დადგმას არ ვაპირებ.

– რატომ?

– თეატრში გინების წინააღმდეგი ვარ.

– კი მაგრამ, ჩემ პიესაში გინება არ არის.

– პიესაში არა, მაგრამ დარბაზში იქნება.

•••

ცოლმა ახალი კაბა ჩაიცვა და მთელი საათი სარკის წინ ტრიალებს, ბოლოს ქმარს გასძახა:

– აბა, როგორ გამოვიყურები?

– ცოტა მოსაბეზრებლად... ისე კი – არა უშავს!

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ბავშვობაში მეუბნებოდნენ, თუ როგორი კარგი ცხოვრება მექნებოდა მომავალში.

– მერე?

– ახლა კი მიყვებიან, თუ როგორ კარგად ვცხოვრობდით წარსულში.

•••

ცოლი და ქმარი დასაძინებლად ემზადება. ცოლი ეუბნება:

– ძვირფასო, მოდი დღეს იმის გარეშე, თავი ძალიან მტკივა.

– საყვარელო, ისე შემაწუხა შენმა თავის ტკივილმა, რომ მომიწევს შენ სამკურნალოდ იმ ფულის დახარჯვა, შენთვის ახალი ქურქის საყიდლად რომ მქონდა გადადებული!


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.




# დავიდ ნალბანდიანი სიკვდილს გადაურჩა






ყოფილი არგენტინელი ჩოგბურთელი დავიდ ნალბანდიანი, რომელიც ერთი პერიოდი მსოფლიოს მეორე ჩოგანი იყო, ამჟამად ავტოსპორტით არის გატაცებული და ხშირად მონაწილეობს სხვადასხვა შეჯიბრებაში.

ერთ-ერთი ასეთი რალის დროს ნალბანდიანს თავის პარტნიორთან ერთად სერიოზული ავარია მოუვიდა. ნალბანდიანს მძიმე ტრავმა არ მიუღია, მანქანა კი ძლიერად არის დაზიანებული.

ნალბანდიანმა ამ ინციდენტის შემდეგ კომენტარიც გააკეთა და თქვა, რომ ის ადვილად გადარჩა.

აღსანიშნავია, რომ არგენტინელ ჩოგბურთელს ადრეც მოუვიდა ავარია, ამიტომ მომავალში ის, ალბათ, მეტ სიფრთხილეს გამოიჩენს.

# ბრანისლავ ივანოვიჩი ზაფხულიდან ვესტ ჰემში გადავა



ჩელსის მცველ ბრანისლავ ივანოვიჩს სეზონის ბოლოს კონტრაქტი უმთავრდება და ჩელსი მისთვის ახალი კონტრაქტის შეთავაზებას არ აპირებს.

ინგლისური პრესის ინფორმაციით, ივანოვიჩი უკვე მოელაპარაკა ვესტ ჰემს და ზაფხულში ის ამ გუნდს თავისუფალი აგენტის სტატუსით შეუერთდება.

მიმდინარე სეზონში ივანოვიჩი იშვიათად თამაშობს, რადგან ანტონიო კონტე მას არ ენდობა.

სერბი მცველი ჩელსის 2008 წელს შეუერთდა და მას შემდეგ ამ გუნდის მაისურით თითქმის 300 შეხვედრა ჩაატარა. ჩელსიმდე ივანოვიჩი მოსკოვის ლოკომოტივის ღირსებას იცავდა.

# ოსასუნას მწვრთნელი თანამდებობიდან გაათავისუფლეს

პამპლონის ოსასუნა წლევანდელ სეზონში ცუდად გამოიყურება, რის გამოც გუნდის ხელმძღვანელობამ ზომების მიღება გადაწყვიტა და მთავარი მწვრთნელი ენრიკე მარტინი დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა.



ჯერჯერობით უცნობია, თუ ვინ გახდება ოსასუნას მომავალი მწვრთნელი. პამპლონელები ლა ლიგაში წელს დაბრუნდნენ, მაგრამ 11 ტურის შემდეგ მათ მხოლოდ 7 ქულა აქვთ და სატურნირო ცხრილში ბოლოსწინა, მე-19 ადგილზე არიან.

შემდეგ შეხვედრას ოსასუნა სტუმრად ლეგანესის წინააღმდეგ ჩაატარებს.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*


# 10 ნოემბრიდან




## ჯერალდ დარელი
## იდუმალი ხმების ქვეყანა. მთვრალ ტყეში

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**


# ნინო სურგულაძემ ბერგენში 6 ვარსკვლავი დაიმსახურა



ქართველმა საოპერო მომღერალმა ნინო სურგულაძემ ბერგენში „რომეო და ჯულიეტას" ოპერაში მიიღო მონაწილეობა და რომეოს პარტია შეასრულა.

საპრემიერო წარმოდგენები ბერგენის ნაციონალურ ოპერაში უკვე გაიმართა და მსმენელში დიდი მოწონებაც დაიმსახურა.

მთავარი პარტიები ნინო სურგულაძემ და კრისტინა მხითარიანმა იმღერეს. ქართველმა მეცოსოპრანომ რომეოს პარტია იმღერა, კრისტინა მხითარიანმა კი – ჯულიეტასი.

პრემიერის შემდეგ ჟურნალისტებმა ახალი საოპერო სპექტაკლი შეაფასეს. „რომეო და ჯულიეტამ" ნორვეგიულ პრესაში განსაკუთრებული შეფასება მიიღო და 6 ვარსკვლავი დაიმსახურა.

**ნინო სურგულაძე:**

– პრემიერის შემდეგ საინტერესო კრიტიკა გამოვიდა. მადლობა!

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# ავსტრალიის ნაკრძალში დაკუნთულ კენგურუს მიაგნეს

შტატში დასავლეთ ავსტრალია ქალაქ ალბანის მახლობლად მდებარე ნაკრძალში ფოტოგრაფმა დააფიქსირა კენგურუ, რომელსაც უჩვეულოდ განვითარებული კუნთები აქვს. მან აღნიშნული ფოტო ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე განათავსა.



უილიამს ტომსენზეც და მის ხელმომწერებზეც დაკუნთულმა ცხოველმა მეტად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

– ეს ყმაწვილი ვარჯიშობს, – ხუმრობით დაწერა ფოტოსურათისთვის თანდართულ კომენტარში ფოტოგრაფმა. კომენტარებში ინტერნეტ-მომხმარებლებიც აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ ცხოველის გარეგნობით. „კენგურუ სტეროიდებზე", – დაწერა ერთ-ერთმა ინტერნეტ-მომხმარებელმა თავის კომენტარში.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# კროსვორდი ა



**შვეულად**: 1. სამხედრო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ძველად საქართველოში; 2. დელფინის ერთ-ერთი სახეობა; 3. ეგრისის სამთავროს დედაქალაქი; 4. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 5. ძველებური ქართული ბასრწვერიანი სატყორცნი, საბრძოლო იარაღი; 8. რაიონული ცენტრი იმერეთში; 9. ცნობილი არგენტინელი კალათბურთელი; 12. უდაბნოში მზარდი მცენარე; 13. ყურძნის შაქარი; 16. სმენის განსაკუთრებული ვოკალური სავარჯიშო მუსიკაში; 17. ცნობილი საკონცერტო დარბაზი პარიზში; 19. იანვრის ქართული სახელწოდება; 20. ფულის ერთეული შვეიცარიაში.

**თარაზულად**: 6. ომების მოწინააღმდეგე ადამიანი; 7. დაბალი რანგის დიპლომატიური წარმომადგენელი; 8. გერმანელი დრამატურგი, მწერალი, თეატრალური რეჟისორი; 10. საფრანგეთის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 11. საზღვაო ხელშეკრულება; 14. სპორტის სათამაშო სახეობა; 15. რაიმე სადავო საკითხის შემფასებელი, დასკვნის გამომტანი სპეციალისტი; 18. უკრაინული ხალხური ცეკვა; 21. ვისიმე ან რისიმე მდგომარეობა, განლაგება; 22. „ტურ-დე-ფრანსის" ორგზის გამარჯვებული ბრიტანელი ველომრბოლელი; 23. ჰომეროსის ეპიკური პოემა; 24. პოპულარული ლიგურიის ზღვისპირა კურორტი იტალიაში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*